სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 თებერვალი 2006 №26 (2648) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი და რიგი მეც მინდა

ინტერვიუ კობა შორშიკაშვილთან

5

რა ქალბატონი, რის ბებერი...

იუვენტუსი მსაჯებს მეკავებივით ყიდულობს

6

გაძარცული კაცი

ინტერვიუ თემურაზ კაკულიასთან

12

ტოპმოდელრის საძმომ ქართულ ფეხბურთს დიაგნოზი დაუსვა

ქართველი ახალგაზრდები უსხეულოდ თამაშობენ

ბაფერ კეთილაძის ფოტო

ეკიპმა მარსელს წარსული გაუმწარა

დოპინგ-სკანდალი გრძელდება: ტონი კასკარინომ თითქმის აღიარა

ორი კვირა მიილია მას შემდეგ, რაც „მარსელის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჟან-ჟაკ ეიდელმა სკანდალი ააგორა — ჩემპიონთა ლიგის 1993 წლის ფინალში „მილანთან“ მატჩის წინ დოპინგით გაგვჭყიპესო. ამ ამბავს ფრანგულ-იტალიური კომენტარები და გარჩევა მოჰყვა, ახლა კი ეიდელის ასევე ძველი მარსელელი ტონი კასკარინო ჩაუზიარდა. ირლანდიელი ფორვარდი ადასტურებს, რომ ფრანგულ გუნდში თამაშისას ნემსები მისთვისაც არაერთხელ უჩხვლეტიათ...

ორი გიორგის ამბავი

ადამია დუბლით დაბრუნდა, ქინქლაძე — ტრავმით

ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველმა ლიდერმა გიორგი ადამიამ „თანამეგობრობის“ თასის ნახევარფინალში ტრავმა მიიღო და მას შემდეგ უქმად იყო. „მენავთობეები“ ახლა ანთალიურ შეკრებაზე არიან, სადაც ყაზანის „რუბინი 2“-ს შეხვდნენ და 2:2 ითამაშეს. საინტერესო კი ისაა, რომ ადამია 50-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და მატჩის ბოლო ათ წუთში ორი გოლი გაიტანა, რითიც თავისიანები მარცხისგან იხსნა — 2:2.

„ნეფთჩის“ მეორე ქართველმა ვალერი აბრამიძემ სრულად ითამაშა, ისევე როგორც „რუბინი 2“-ის ზურაბ არზიანმა.

გიორგი ქინქლაძე

რაც შეეხება მთავარ „რუბინს“ — ყურბან ბერდიევის გუნდი ყაზანში გუშინ დაბრუნდა ესპანური შეკრებიდან, სადაც ახალწვეულმა მეკარემ ნუკრი რევიშვილმა ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და გოლიც არ გაუშვია. ცუდი კი ისაა, რომ გუნდის ლიდერმა გიორგი ქინქლაძემ ტრავმა მიიღო, მაგრამ რამდენად რთული, ჯერჯერობით უცნობია.

ილია ნანოგაფვილი

გოგუა და ნალჩიკი წელიწადზე შეთანხმდნენ

22 წლის შუახაზელი გოგიტა გოგუა კარგა ხანია, რაც რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიდან“ აიბარგა და პრემიერლიგაში აღზევებულ ნალჩიკის „სპარტაკში“ ვარჯიშობს. გოგუა ნალჩიკელებს თურქულ შეკრებაზეც ახლდა და შინ დაბრუნებული „სპარტაკი“ მალე კვლავ თურქეთში გაგრძელებს ახალი სეზონისთვის მზადებას.

როგორც ფეხბურთელის მამამ, მალხაზ გოგუამ გვითხრა, ნალჩიკელები და გოგიტა უკვე შეთანხმდნენ ერთწლიან კონტრაქტზე, რომელიც ოფიციალურად თურქეთში გაფორმდება.

შეგახსენებთ, გოგუას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 8 მატჩი უთამაშია და ერთი გოლი გაუტანია.

დავით თავართქილაძე

ინგლისი
ჩემპიონატი. XXXII ტური
შეფილდი 1:4 უოტფორდი

იტალია
სერია CVA. XXII ტური
სან მარინო 0:0 სამგენედეტეზე

გერმანია
II ბუნდესლიგა. XX ტური
მიუნხენი 2:2 ფიურტი

საფრანგეთი
II დივიზიონი. XXIV ტური
ისტრი 2:1 ლორიანი

ოთხთა ტურნირი
სპარტაკი (რუსეთი) 1:1 დინამო (უკრაინა)

ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
სიტარდი 2:1 ოსი
გრაავფსხაპი : დენ ბოსხი გადაიდო
ემენი : აპელდორნი გადაიდო
ეინდჰოვენი : დორდრეხტი გადაიდო
მაასტრიხტი : ეძელსიორი გადაიდო

საბერძნეთი
ეროვნული ლიგა
XVIII ტური
ოლიმპიაკოსი 2:1 კალითეა

პორტუგალია
სუპერლიგა
XXI ტური
პორტუ : ბრაგა გვიან გაიმართა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრი ალექსაძის ფოტო

პორტუგალიიდან დაბრუნებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს 14 საათზე, ავლაბარში, „ოლიმპის“ სტადიონზე ამხანაგურად გაეჯიბრება აზერბაიჯანელ 21-წლამდელებს. პორტუგალიური ტურნეს შემდეგ გუნდს ტრავმების გამო გამოაკლდნენ ამერელი ბესიკ ჩიმაკაძე და ლოკომოტიველი გიორგი კახელიშვილი. 21-წლამდელთა დამრიგებელმა კობა ჟორჟიკაშვილმა სამი ახალი ფეხბურთელი მიიწვია გუნდში — გიორგი სეთურიძე, გიორგი ფოფხაძე და ნიკა გელაშვილი. გუშინ გუნდის თავკაცს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

U21 და აზერბაიჯანი: მინგეს განსაკუთრებული ინტერესი

ფესი და რიგი ჰობა ჟორჟიკაშვილსაც უნდა

— პორტუგალიურ ტურნეს როგორ შეაფასებდით?

— პორტუგალიასთან და სლოვაკეთთან კი წავაგეთ, მაგრამ ეს გუნდები თავიანთი ქვეყნების ფაქტობრივად B ნაკრებებს წარმოადგენდნენ. სლოვაკებს რამდენიმე 1977-78 წლებში დაბადებული ფეხბურთელებიც კი ჰყავდათ, პორტუგალიელებს 1983-85 წლებში დაბადებულები, ხოლო ჩვენ მათზე გაცილებით ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავდა...

— მერედა, რატომ არ წაიყვანეთ თქვენც 20-22 წლის ფეხბურთელები?

— პორტუგალიაში იმ დროს წავედით, როცა კლუბები შეკრებაზე არიან და ფეხბურთელები ნაკრებში არ გამოუშვეს. რომ არა ეს პრობლემა, პორტუგალიაში სხვა შემადგენლობით წავიდოდით. მეც დავიღალე იმით, რომ უმცროსი ფეხბურთელებით უფროსებს ვეთამაშებით. ახლა კი ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას ეროვნული ნაკრების გერმანელი მწვრთნელები გადაწყვეტენ. ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე ამბობენ, რომ თქვენ ერთდროულად სამი გუნდის მწვრთნელი აღარ იქნებით, გააგრძელებთ მუშაობას 19-წლამდელთა ნაკრებში, ხოლო ახალგაზრდულს სხვა მწვრთნელს ჩააბარებენ...

— მეც მინდა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც წესი და რიგია. არ მინდა, ვილაცას სალაპარაკო მიეცეს...

— აზერბაიჯანთან 7 და 9 თებერვალს ითამაშებთ — რა მიზანს ემსახურება ეს მატჩები?

— მოგეხსენებათ, ჰაინც ტოპმიოლერი და რალფ მინგე თბილისში არიან, ტოპმიოლერს კიდევ ერთხელ სურს ამ ფეხბურთელების ნახვა, ხოლო მინგეს ისინი საერთოდ არ უნახავს და მას ამ მატჩების ნახვა განსაკუთრებულად აინტერესებს.

დავით თავართქილაძე

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების სააზერბაიჯანო შემადგენლობა

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (თბილისი), მიხეილ ალავიძე (თბილისი);

მცველები: გიორგი ფოფხაძე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გიორგი ხუმარაშვილი (ზესტაფონი);

ნახევარმცველები: გიორგი სეთურიძე (ბათუმი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), გოგი ფიფია (ზესტაფონი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (დინამო), ირაკლი ძარია (ზესტაფონი), მირზა ბეალავა (ამერი);

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ნიკოლოზ გელაშვილი (ვიტ ჯორჯია).

საქართველო — აზერბაიჯანი და ქართველები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, დღეს საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს მოემსახურება ქართველ მსაჯთა სამეული: გიორგი ვადაჭკორია (მთავარი მსაჯი), გურამ ჩიგოგიძე, ზურაბ ჯვარიძე (თანამსაჯები). გიორგი ვადაჭკორია განსჯის 9 თებერვლის მატჩსაც, თუმცა ამჯერად ლევან მიქელაძის და ზაზა მენთეშაშვილის დახმარებით.

საფეხბურთო კლუბი ქუთაისის „ტორპედო“ და მისი პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი
ბარი სორდია
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის
ბარი სორდიას
გარდაცვალებას
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები ვწუხვართ იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის
ბარი სორდიას
გარდაცვალების გამო
და თანაგუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს

ჰაინც ტოპმიოლერის პორტრეტული შთაბეჭდილება თამაში სხეულის გარეშე

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ჰაინც ტოპმიოლერი და რალფ მინგე

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი კვლავაც გერმანიაშია, ხოლო მისი შტაბის დანარჩენი წევრები — რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი თბილისში არიან. ჰერ კლაუსის ძმა ჰაინცი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ახლდა პორტუგალიაში და დღეს და 9 თებერვალსაც მინგესთან ერთად ჩვენი ახალგაზრდების თბილისურ მატჩებსაც დაესწრება აზერბაიჯანელ 21-წლამდელებთან. ჰაინც ტოპმიოლერს გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შევხვდით და გავესაუბრეთ...

საქართველოს ნაკრებმა ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლი შედარებით სუსტ მეტოქეებთან მატჩებით დაიწყოს და ქულათა მაქსიმუმი მოიპოვოს...

— წინა პარასკევს ფრანკფურტში მე, ჩემი ძმა, მინგე და ნოდარ ახალკაცი შევიკრიბეთ და შევიმუშავეთ კალენდრის რამდენიმე ვარიანტი, რომლებსაც წინასწარ ვერ გეტყვით. ისიცაა, რომ ჩვენ ამ შესარჩევ ჯგუფში მეექვსე კალათიდან მოვხვდით და კალენდრის შედგენისას უპირატესობა საფრანგეთსა და იტალიას უფრო აქვთ. ისე კი, იმედი გვაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს წარმატებით დავიწყებთ.

— ანუ საფრანგეთთან და იტალიასთან თამაშებით არა?

— ამის წინასწარ თქმა არ მსურს. ისე, გერმანიაშიც მიაჩნიათ, რომ ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია.

— თქვენს ძმასთან, კლაუსთან, როგორც მწვრთნელს ადრეც გიმუშავიათ?

— მწვრთნელად ვმუშაობდი ქვედალიგელ კლუბებში და ასევე ბერლინის „უნიონში“. ჩემს ძმასთან კი დამხმარედ მიმუშავია — მისი მითითებით თამაშებზე დავდიოდი დამკვირვებლად.

— თქვენი ძმის მითითებით ახლახან პორტუგალიაშიც იყავით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშებზე დასაკვირვებლად და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ვნახე ქართველი ახალგაზრდების თამაში სლოვაკეთთან, პორტუგალიასთან და კიდევ ერთ გუნდთან. მეტოქეებმა კარგი ტექნიკა გვიჩვენეს, მართალია, ჩვენც გვყავს ტექნიკური ფეხბურთელები, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები თითქოს სხეულის გარეშე თამაშობდნენ — ადვილად შესამჩნევი იყო, რომ ჩვენი ფეხბურთელები სლოვაკებზე და პორტუგალიელებზე უმცროსები იყვნენ — სლოვაკები და პორტუგალიელები 29-30 წლის ფეხბურთელებივით თამაშობდნენ, ასეთი თვისებები კი ჩვენს გუნდს ძალიან აკლდა.

— მერედა, რამდენად ნორმალურად მიგაჩნიათ ის, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში 17-18 წლის ფეხბურთელები თამაშობენ?

— ყოველ შემთხვევაში, უფროს და უფრო ჭკვიან ფეხბურთელებთან თამაშით 17-18 წლის ბიჭებს შეუძლიათ, რაღაც-რაღაცები ისწავლონ, გამოცდილება შეიძინონ...

— ითქვა, რომ აზერბაიჯანთან მატჩებში ახალგაზრდული ნაკრები ივივე შემადგენლობით აღარ ითამაშებს...

— გუნდს კვლავაც კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის და ალბათ შემადგენლობაც ივივე იქნება. მოკლედ, ზუსტად ვერაფერს გეტყვით...

— კვლავაც იქნებით ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების დამკვირვებელი?

— ეს მომავალ კვირაში გაირკვევა.

— ეროვნულ ნაკრებში კონკრეტულად რა ფუნქცია დაგეკისრებათ?

— როცა ჩემი ძმა საქართველოში ჩამოვა, მე, ის და მინგე ყველაფერს ერთად მოვილაპარაკებთ. რა თქმა უნდა, ეს მალტის ტურნირამდე მოხდება.

— საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენი ეროვნულ ნაკრების ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებს თუ აკვირდებოდით და მათზე ინფორმაციას თუ აგროვებდით?

— ვაკვირდებოდით გერმანიაში მოთამაშე ქართველებს, განსაკუთრებით ლევან კობიაშვილზე ვამახვილებთ ყურადღებას — ის უმაღლეს დონეზე თამაშობს, ნამდვილი პროფესიონალია. ამ ეტაპზე კი ჩვენთვის მთავარია, საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს დავაკვირდეთ.

— შევიტყვეთ, რომ თქვენი ძმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს ნაკრების თავკაცი გახდეს ევროპის ჩემპიონატზე?

— ეროვნული ნაკრების ტოპმიოლერი კვლავაც გერმანიაშია, ხოლო მისი შტაბის დანარჩენი წევრები — რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი თბილისში არიან. ჰერ კლაუსის ძმა ჰაინცი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ახლდა პორტუგალიაში და დღეს და 9 თებერვალსაც მინგესთან ერთად ჩვენი ახალგაზრდების თბილისურ მატჩებსაც დაესწრება აზერბაიჯანელ 21-წლამდელებთან. ჰაინც ტოპმიოლერს გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შევხვდით და გავესაუბრეთ...

დავით თავართქილაძე
ნინო სილაგაძე

ცხინვალი რეანიმაციაში

ქირურგობა ზურაბ ნოღაიდელზეა

„ცხინვალის“ გასაჭირზე უკვე იმდენი დავწერეთ, თითქოს ახალი რა უნდა მივამატოთ. ამ „თითქოსს“ ვეპოტინებით, ეგებ კლუბს რამე ეშველოს, ვინმემ მიხედოს, მაგრამ მხოლოდ ზედაპირული დაპირებები თუ გამოდის...

სამაჩაბლოური კლუბის უფროსმა ზურაბ ნასუაშვილმა გვითხრა, სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას თბილისში ჩამოსვლას ველით, იგი უკვე შეხვდა პრემიერ-მინისტ ზურაბ ნოღაიდელს და, როგორც გავიგეთ, „ცხინვალის“ გადარჩენაზე უსაუბრიათო.

„ბატონმა გოგა ხაინდრავამ ერთი კვირის წინ დაგვაიმედა, მაგრამ ქმედითი არაფერი ჩანს. სიტყვა ნოღაიდელზეა, ჩვენ ადრე ბიუჯეტიდან ვფინანსდებოდით, ახლა კი თანხის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფაზეა ლაპარაკი. მოგეხსენებათ, „ცხინვალი“ დიდ მიზნებს არ ეჭიდება, სულ რაღაც წლიურ 80 ათას ლარს ვითხოვთ. შარშან ზუსტად ამდენი გვქონდა და თავი როგორღაც შევინახეთ. მიუხედავად იმისა, რომ თანხის 32 პროცენტი ბეგარაში მიდიოდა. თუ ამ დღეებში არაფერი გადაწყდა, ჩათვალეთ, რომ დავიშლებით. ფეხბურთის ფედერაციაში მივალთ და კლუბის ლიკვიდაციას ოფიციალურად გავაფორმებთ. ეს დიდი სირცხვილი იქნება, რადგან, როგორც იცით, ცხინვალის ოსური გუნდი რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს. ისინი არსებობენ, ჩვენ კი...“ — ნაღვლიანად გვითხრა ნასუაშვილმა.

ვნახოთ, ჩემპიონატის მეორე წრის განახლებამდე ცოტა დრო დარჩა, „ცხინვალი“ კი არც ვარჯიშობს. თუმცა რომელ ვარჯიშზეა ლაპარაკი, დღემდე „რეანიმაციაშია“...

ილია ნანოგაშვილი

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ქართველები უცხოეთში

ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგს“ სარმა აუე-მ გამოსდო

ვერ ვიტყვით, რომ ქართველებს წარმატებული ტურები ჰქონდათ, თუმცა, რაც იყო, იყო, მოკლედ მიმოვიხილოთ ევროპელ ჩვენებურთა მონაგარი...

„მილანმა“ ისევ ვერ მოიგო და ლიდერ „იუვენტუსს“ უკვე მთელი თოთხმეტი ქულით ჩამორჩება. კარლო ანჩელოტის შეგირდები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ რომის „ლაციოს“ ვერაფერი მოუხერხეს და უგოლოდ გაეყარნენ. *კახა კალაძემ* დაცვის ცენტრში ითამაშა და მოედანზე 90 წუთი დაყო.

გერმანიაში რურული დერბი გაიმართა — „შალკე“ და „დორტმუნდი“ მაგრად ეჯავშურნენ ერთმანეთს და ეს მატჩიც 0:0 მორჩა.

მეორე ბუნდესლიგაში სამი ქართველი შეხვდა ერთმანეთს და *დავით სირაძის* აუე-მ *იაშვილ-ხიზანეიშვილის* „ფრაიბურგს“ სძლია. ერცგებირგელებმა „ფრაის“ პირველივე ტაიმში გაუტანეს და ამაში სირაძის წვლილიც იყო — ქართველმა შემტევმა საგოლე პასი გააკეთა.

საინტერესოა, რომ მატჩის გადასარჩენად ფოლკერ ფინკემ მოედანზე ახალგამოჯანმრთელებული ოთარ ხიზანეიშვილი შეიყვანა და... თავდასხმაში გაამწესა — ავანტიურამ ფრაიბურგელებს არ გაუმართლათ.

ჰოლანდიაში „ქართულმა“ გუნდებმა პოზიციები შეინარჩუნეს. შოთა არველაძის „ალკმაარი“ „ვიტესს“ დაუზავდა (1:1), *გოგა გახოკიძის* „ტვენტემ“ კი „უტრეხტი“ 3:0 გაანადგურა, თუმცა სატურნირო ცხრილში წინ ვერ წაიწია.

კვიპროსის ჩემპიონატში „ანართოსისი“ აბობოქრდა — ფამაგუსტელებმა 5:0 მიანგრიეს „აშნა“ და ერთი გოლი *ამირან მუჯირმა* გაიტანა.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ლაციო 0:0	90	გააფრთხილეს	15	1	3
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	დორტმუნდი 0:0	90		19	2	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	გლადბახი 0:0	0	ტრავმირებულია	13	0	12
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	აუე 0:1	90	გააფრთხილეს	19	2	5
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	აუე 0:1	11	შეცვლაზე ითამაშა	2	0	5
დავით სირაძე	აუე	შ	ფრაიბურგი 1:0	45	საგოლე პასი, შეცვალეს	3	0	10
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	ემდენი 4:2	0		17	1	3
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ვესტ ბრომვიჩი 0:2	0	ტრავმირებულია	16	0	9
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ვიტესი 1:1	90		21	17	3
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	უტრეხტი 3:0	77	შეცვალეს	12	0	13
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	კალამარია 1:2	90		14	0	6
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	აშნა 5:0	90		13	3	4
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	ს	აშნა 5:0	34	შეცვლაზე ითამაშა	14	3	4
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	აშნა 5:0	0		5	0	4
ამირან მუჯირი	ანართოსისი	ს	აშნა 5:0	56	1 გოლი, შეცვალეს	4	1	4
ლევან ქებაძე	აშნა	შ	ანართოსისი 0:5	90		13	4	10

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სტრასბურის სამართალი — ქართველი გამოგვადგება

20 წლის სანდრო გურული საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის „ლიონ დუშერში“ თამაშობს და მისმა გუნდმა ქვეყნის თასის მერვედფინალში გააღწია, გზად კი ორი პირველდივიზიონელი, „ტულუზი“ და „სტრასბური“ გააგდო. გია გურულის ვაჟთან საუბარი სხვა მხრივაც საინტერესო იყო — რომელ დივიზიონშიც უნდა თამაშობდეს, მაინც საფრანგეთია, საფრანგეთი კი საქართველოს თანაჯგუფელია ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში.

და კიდევ: დიდი შანსია, მალე სანდრო ნორმალურ ფრანგულ კლუბში ჩაირიცხოს, ყველაზე მკაფიოდ კი „სტრასბურის“ ვარიანტი ჩანს...

სანდრო გურული: ფრანგები არ გვიცნობენ, მაგრამ მაშაყირებენ

— „ტულუზთან“ და „სტრასბურთან“ თამაშებზე რას იტყვი, ელოდი ასეთ სენსაციას?

— დავიწყოთ იმით, რომ მწვრთნელმა ძალიან კარგად მოგვამზადა. პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად — გვეუბნებოდა, თქვენი თამაში ითამაშეთ, ჩათვალეთ, მეოთხე დივიზიონის გუნდს ხვდებითო. ყველაზე მეტად სწორედ ამ სიტყვებმა იმოქმედა, „ტულუზთან“ 2:1 მოვიგეთ და ერთი საგოლე პასი გავაკეთე, „სტრასბურთან“ კი 120 წუთი 0:0 დამთავრდა, პენალტებში მოვიგეთ და მე პირველი პენალტი გავიტანე.

— საერთოდ, საფრანგეთის თასზე მოულოდნელობები ხშირია. გვახსოვს, ერთხელ მეოთხედივიზიონელი „ნიმიც“ გასულა ფინალში. „ლიონ დუშერს“ აქვს ამის იმედი?

— უიმედოდ ნაღდად არ ვართ. ოთხშაბათს კენჭისყრა ჩატარდება და კარგი იქნება, თუ შინ მოგვიწევს თამაში. „ოსერისა“ და „მონაკოს“ გარდა, თასზე ყველა უძლიერესი გუნდი შემორჩა, თუმცა სუსტებიც არიან. თასია და სენსაციები ხშირად ხდება, „ლიონი“ და სხვა გრანდები ძირითად შემადგენლობას ასვენებენ ხოლმე, ამიტომაც შანსი გვაქვს.

— მეოთხე დივიზიონში მეთოთხმეტე ადგილზე ხართ და შენი პირადი მონაგარი როგორია?

— ექვსი გოლი გავიტანე, მაგრამ საგოლე პასები გაცილებით მეტი მაქვს — უკანდაწეულ თავდამსხმელად ვთამაშობ.

— „ლიონ დუშერი“, ფაქტობრივად, „ლიონის“ დუბლებია...

— დიახ, ჩვენთან 14 ისეთი ფეხბურთელია, „ლიონში“ რომ უთამაშიათ.

— ეს კი, მაგრამ მეოთხე დივიზიონში თამაშს კიდევ აპირებ?

— „სტრასბურთან“ თამაშისას მათ მწვრთნელს მოვეწონე, ჩემი მობილურის ნომერი ჩაიწერა და ვნახოთ. ისე, სხვა გუნდებზეცაა ლაპარაკი, მაგრამ უფრო „სტრასბურზე“ ვფიქრობ. სეზონის ბოლოს დაიწყება კონკრეტული მოლაპარაკება.

— „ლიონში“ გადასვლა, ალბათ, ზღაპარია...

— მართლია. „ლიონი“ ევროგრანდია, ვარსკვლავებს ყიდულობს და ახალგაზრდა ფეხბურთელი არც სჭირდება.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ: საბერძნეთთან მარტის მატჩში ტრავმა მიიღე და მას შემდეგ აღარ გამოგიძახეს. ახლა თუ ხარ მზად ნაკრებში სათამაშოდ?

— თუ გამოიძახებენ, დავამტკიცებ, რომ მზად ვარ. იმედი მაქვს, ასეც მოხდება.

— საქართველო საფრანგეთთან მოხვდა ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში. რას წერს ფრანგული პრესა, ან თანაგუნდელები რას გეუბნებიან?

— თითქმის არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა. უფრო იმაზე ლაპარაკობენ, იტალია რომ შეხვდათ ჯგუფში.

— საქართველოს, ალბათ, არაფრად თვლიან...

— მთლად ეგრეც არაა. უბრალოდ, საქართველოს არ იცნობენ. თანაგუნდელებს ვეუბნები, მოვიგებთ-მეთქი, ისინი კი მაშაყირებენ...

ილია ნანობაყვილი

გადგრი ჯეფერსონის ფოტო

ვისენტე დელ ბოსკე: ვისენტე დელ ბოსკე ასე არ უნდა წასულიყო

ვისენტე დელ ბოსკე, რომელიც მადრიდის „რეალის“ ასწლოვან ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწვრთნელად ითვლება, გუნდიდან მისი საწყენი დათხოვნისა და „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან უთანხმოების შესახებ ალალად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე საუბრობს. „ბერნაბეუს“ ინჩადას სათაყვანებელმა „ულვაშამ“ „მარკასთან“ ინტერვიუში „რეალში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა, ოღონდ...

— უპირველეს ყოვლისა, ერთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა გავარკვიო: ჩვენ მწვრთნელს ვესაუბრებით თუ ვარსკვლავების ადმინისტრატორს?

— ჩემი აზრით, ამ ორი საქმის განცალკევება აბსურდია. მწვრთნელის სამუშაო იგივე მართვაა — ფეხბურთელების, სწორი ტაქტიკის, ძალიან ბევრი რამის...

— ალბათ, გწყინთ, როცა მავანი არა „რეალის“ ექსმწვრთნელად, არამედ გალაქტიკოსების „ზედამხედველად“ ან „ადმინისტრატორად“ მოგიხსენიებთ...

— ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩემი „რეალში“ გაწეული სამუშაო დააკნინონ. არ მინდა, ამ მონაჭორს ზედმეტი ყურადღება მივაქციო, თუმცა სამეფო გუნდში ოთხწლიანი მწვრთნელობისა და ამდენი მატჩის მოგების მერე, დამრიგებელი კი არა, ზედამხედველი ხარო, რომ გეტყვიან, გული გეტკინება...

— ამჟამად ვისენტე დელ ბოსკე არც ერთ კლუბს არ წვრთნის...

— მსურს, მალე ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდე, ოღონდ არა ყველაფრის ფასად. კარგი იქნება, თუ არჩევანის საშუალება მომეცემა.

— წარმომიდგენია, რამდენი შემოთავაზება გექნებათ. უკანასკნელად ვინ დაგიკავშირდათ?

— რამდენიმე კლუბიდან მიწვევა მართლაც მივიღე, თუმცა რაიმე კონკრეტული არაფერი ყოფილა.

— თურქეთში გატარებული პერიოდის შემდეგ ისევ უცხოეთში მწვრთნელობა გსურთ თუ ესპანური პრიმერა გირჩევნიათ?

— „ბეშიქთაშში“ საქმიანობამ დამატებითი გამოცდილება შემძინა. თურქეთში გატარებულ პერიოდს დადებითად ვაფასებ. სხვა საქმეა, გუნდის უფროსობასთან რანაირი ურთიერთობა მქონდა. სამწუხაროდ, მათთან კონფლიქტმა დაჩქარა ჩემი წამოსვლა. თუმც უცხოური გუნდების გაწვრთნის შიში მომეხსნა, რისთვისაც თურქეთის ერთობ მადლიერი ვარ... ისე, ალბათ მაინც ესპანეთში მუშაობას ვამჯობინებდი, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, არა ნებისმიერ გუნდში და არა ნებისმიერ ფასად.

— სხვა მწვრთნელებზე ვისაუბროთ. მადრიდის „რეალში“ ვანდერლეი ლუშემბურგოსა და „ატლეტიკოში“ კარლოს ბიანკის ფიასკოს როგორ ახსნიდით?

— ამ ორის ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება. თან ლუშემბურგოსა და ბიანკის რიგიანად ვერ განვსჯი, რადგან უშუალოდ მუშაობის პროცესში ისინი არ მინახავს. წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივეს შესანიშნავი კარიერა ჰქონდა... ლუშემბურგოს შემთხვევაში „რეალის“ თავკაცებს ექვსი თვე ჰქონდათ ბრაზილიელის შესაფასებლად და მათაც მისი დატოვება გადაწყვიტეს. რაც შემდეგ გუნდში მოხდა, იმაზე პასუხისმგებელი პრეზიდენტი და მისი შტაბია.

— ახლა ჩანს, რომ „რეალში“ დღევანდელი დამრიგებლის, ლოპეს კაროს ახალ დელ ბოსკედ გადაქცევა სურთ...

— „რეალისთვის“ ახლა აჯობებს, სხვადასხვა მწვრთნელები კი არ ადარონ ერთმანეთს, არამედ გულიანად აკეთონ საქმე.

— ფიქრობთ, რომ „რეალის“ თავკაცად ლოპეს კარო დარჩება?

— ლუშემბურგოს და ბიანკის მსგავსად, ლოპეს კაროს განსჯაც გამიძნელდება, თუმც გუნდს აშკარად გაუმჯობესება შეეტყო, ამას ყველა ამჩნევს... ჯერ ვერაფერს გეტყვით, პირველობისთვის ძალიან ძლიერ „ბარსელონასთან“ უწევთ ბრძოლა.

— სამეფო გუნდს ორი წელია, არაფერი მოუგია, 2003 წლის მერე კი მადრიდში ხუთი მწვრთნელი გამოიცვალეს... რამ მიიყვანა პერესის კლუბი ამ სირთულეებამდე?

— შეცდომა იქნება, ყველაფერი ეს გუნდიდან ან ჩემ, ან კლოდ მაკელელეს წასვლას დავაბრალოთ. კრიზისის ზუსტ მიზეზს ვერავინ გეტყვით, მე კი „რეალის“ დასუსტებას გუნდში ტრადიციული ერთობის მოშლას მივაწერდი. ისინი, ვისაც საქმე ერთად უნდა ეკეთებინა, ერთმანეთთან კინკლაობით იყვნენ და არიან დაკავებულები. არ მახსოვს, ადრე ვინმეს სამეფო კლუბიდან წასვლის მერე მასზე ცუდი ეთქვა, დღეს კი, ვინც ამა თუ იმ მიზეზით „ბერნაბეუდან“ დაითხოვეს, ყველა საყვედურს ამბობს.

— კრიზისზე პასუხისმგებლობა ვის უნდა დავაკისროთ?

— იმათ, ვინც გუნდის ინტერესებისთვის გაერთიანება ვერ შეძლო...

— „ბერნაბეუს“ ფიასკოს ბევრი მწვრთნელობიდან თქვენ დათხოვნას უკავშირებს...

— მე ასე არ ვფიქრობ. დელ ბოსკეს მოხსნის საბედისწერო შეცდომაზე ნიშნისმოგებით ლაპარაკს ახლა არავითარი აზრი არა აქვს.

— ფლორენტინო პერესმა თქვენთან თანამშრომლობაზე უარი რატომ თქვა?

— ალბათ, გადაწყვეტილების მიღების დროს მრჩევლებს ენდო. მაშინ ფიქრობდნენ, რომ დელ ბოსკეს დათხოვნა „რეალს“ სასიკეთოდ წაადგებოდა.

— პრეზიდენტზე გაბრაზებული იქნებით...

— მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტად ყოფნა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და წინდახედულობას მოითხოვს. ვისენტე დელ ბოსკე გუნდიდან ასეთი ფორმით არ უნდა წასულიყო. ფლორენტინო პერესს მაშინდელ ნაბიჯს ვერასდროს მოვუწონებ.

— „რეალის“ მოსისხლე, „ბარსელონაზე“ შეგეკითხებით. „ბარსა“ „რეალზე“ მართლა ასე ძლიერია?

— უსაშველოდ ძლიერიაო, ვერ გეტყვით, თუმცა კატალონიელები დღეს მადრიდელებზე უკეთ თამაშობენ. „ბარსელონას“ თავკაცებმა ერთ მუშტად შეკრული გუნდის შექმნა მოახერხეს, რის აღიარებასაც ვერავინ გაექცევა.

— ჩემპიონთა ლიგაზეც ვთქვათ. „ჩელსი“ თუ „ბარსა“? „რეალი“ თუ „არსენალი“?

— „რეალი“ „არსენალთან“ ფავორიტია, თუმცა მადრიდელ მცველებს ინგლისში „მეთოფეთა“ მოერიშეების დასაჭერად ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ. „ჩელსის“ და „ბარსას“ შერკინებაში კი უპირატესობას ვერც ერთს მივანიჭებ. „ჩელსი“ უფრო დაცვით სტილს მისდევს, თუმც შედეგები „ბარსელონაზე“ ნაკლები როდი აქვს.

— ლიგაზე თქვენი ფავორიტი გუნდიც გვითხარით...

— ასეთი ორია. „მილანი“ და „ბაიერნი“.

— და ესპანურ პრიმერადივიზიონს ვინ მოიგებს, „ბარსელონა“?

— გეთანხმებით. წლეულს „ბარსას“ პრიმერაში მარცხი სასწაული იქნება.

— ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე რა წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, კატასტროფულს არ ველოდები.

— „რეალში“ თქვენ დაბრუნებაზე რას გვეტყვით?

— ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. „რეალი“ ჩემი ცხოვრების გუნდია და მის სასიკეთოდ დიდ მსხვერპლზე წასვლა შემიძლია. თუმც მადრიდელთა ახლანდელ მმართველებთან საერთო ენის გამონახვა ფრიად ძნელი იქნება...

ძველი კარგი დრო, რომელიც ცუდად დამთავრდა: დელ ბოსკე ფლორენტინო პერესს ვერასოდეს აპატიებს...

იტალიურმა პრესამ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა — მილანის „ინტერი“ ტიერი ანრის შეძენას გეგმავსო. ფრანგი ფეხბურთელი „არსენალთან“ ახალ კონტრაქტზე ჯერ ვერ თანხმდება. უფრო სწორად, მას „მეთოფეების“ შემოთავაზებული პირობები აკმაყოფილებს, მაგრამ ამბობს, თუ გუნდს რომელიმე ტიტულის მოგების ამბიცია არ ექნება, წავალო. თავის მხრივ „ინტერი“ საგრძნობ პროგრესს განიცდის მაგრამ, ერთი ფორვარდით გაძლიერებას მაინც საჭიროებს. მოგეხსენებათ, ანრის შეძენა ძალიან უნდა „ბარსელონასაც“.

ხორვატი მეკარე ტომისლავ ბუტინა მომავალი სეზონიდან ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ითამაშებს. „ბრიუგეს“ 31 წლის ფეხბურთელმა პირეოსელებთან უკვე შეათანხმა სამწლიანი კონტრაქტი. „ისევ ჩემპიონთა ლიგაში თამაში მინდა და „ოლიმპიაკოსი“ ამის შანსს მომცემს, კიდევ ბევრი წინადადება მქონდა, მაგრამ ბერძნული კლუბის შემოთავაზება ყველასაგან გამოვარჩიე“ — თქვა ბუტინამ. შეგახსენებთ, რომ აქამდე „ოლიმპიკოსმა“ კიდევ ორი მოთამაშე დაიბევა მომავალი სეზონისთვის — მარკო ნე და მიხაელ ეევლაკოვი.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საინტერესო ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს. ფედერაციის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ჰიპნოზიორ ხოსე მანუელ როდრიგესს, მეტსახელად „ნიკოს“. იგი გვადალახარის „ჩივასისა“ და ეროვნული ნაკრების 6 ფეხბურთელს — ოსვალდო სანჩესს, რამონ მორალესს, ხუან პაბლო როდრიგესს, ომარ ბრავოს, ხესუს კორონას და დანიელ ოსორნოს მატჩების წინ გაესაუბრება. თუ ჰიპნოზი დადებით შედეგს მოიტანს, მაშინ ამ მეთოდს ნაკრების დანარჩენ ფეხბურთელებზეც გამოიყენებენ.

სლოვაკური „არტმედია“ უეფას თასის პირველ მატჩს სოფიის „ლევსკისთან“ 15 თებერვალს ტრნავაში გამართავს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბრატისლავაში არტმედიელთა მშობლიური სტადიონი „ტეჰელნე პოლეს“ მინდორი მოყინულია. ამიტომ, უეფას გადაწყვეტილებით, „არტმედა“ ტრნავის „სპარტაკის“ მოედანზე, „ანტონ მალატინსკიზე“ ითამაშებს.

ისლანდიელი ნახევარმცველი ჯო გუდიონსენი მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება და „ალკმაარში“ ჩაირიცხება. ინგლისური „ლესტერის“ ფეხბურთელი ლუის ვან გაალის გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. გუდიონსენს „ერედივიზიონში“ აქამდეც უბურთავია, იგი „მაასტრიხტისა“ და „ვალვაიკის“ ღირსებას იცავდა.



ბექზი კენგურუმ ატირა

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და წამოიჭრა დევიდ ბექემის სამსოფლიოთასო ბუცების საკითხიც.

მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელი, ფულის მანქანა ბექზი, როგორც ცნობილია, „ადიდასის“ „პრედატორის“ ბუცებით თამაშობს.

ეს ბუცები კენგურუს ტყავისგან მზადდება და ბექემი ოთხი წელიწადია, მათ ატარებს, რაშიც გვარიან ფულს იღებს.

ოღონდაც, ახლა ბექზს უთქვამს, კენგურუს ტყავის ბუცებს აღარასოდეს ჩავიცვამო და იგივ „პრედატორები“ მოუთხოვია, ოღონდ ხელოვნური მასალისა. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ცხოველთა დაცვის აქტივისტებს ბექემისთვის ფილმი გაუგზავნიათ, რომელშიაც აღბეჭდილია, თუ როგორ კლავენ კენგურუებს მონადირენი და როგორ ატყავებენ მათ.

ამის შემხედვარე ბექემი ცუდად შექნილა და ხელოვნური ბუცები მოუთხოვია. „პრედატორები“ 1993 წლიდან გამოდის და თავიდან ისინი ხელოვნური იყო. სულ პირველად ეს მოდელი „ლივერპულის“ მაშინდელმა ნახევარმცველმა, ავსტრალიელმა კრეიგ ჯონსტონმა მოირგო და სახალხოდ პოპულარულიც გახადა. 4 წლის წინ, „ადიდასმა“ „პრედატორის“ საგანგებო მოდელის კერვა კენგურუს ტყავისგან დაიწყო, თუმცა, რახან ბექემმა ხელოვნური მოითხოვა, ეგებ ტყავისგან კერვა შეწყდეს კიდეც.

ირაკლი გამყრელიძე

ირონიის რაფა

ბენიტესს რობენისთვის საავადმყოფოში მაწონი მიჰქონდა

„ლივერპულმა“ „ჩელსისთან“ კი წააგო, მაგრამ მენეჯერი რაფა ბენიტესი იმითაც დარჩა ნაწყენი, რომ ლონდონელმა არიენ რობენმა წითელი ბარათი გაუფორმა მერსისაიდელთა მეკარე ხოსე რეინას. რეინა რობენთან შეჯახების გამო 82-ე წუთზე გააძევეს, რახან მეკარემ სიფათშიც მიაფარა ხელი თავდამსხმელს. რეინა სულ ოდნავ შეეხო ჰოლანდიელს, თუმცა ეს უკანასკნელი ბალახზე გაგორდა და თავში ხელებწავლებულმა დაიწყო კოტრიალი.



რაფამ კი ასე მწარედ იხუმრა: „ახლა არ მცალია. სავადმყოფოში მიმეჩქარება, სადაც რობენი უნდა მოვინახულო. ამბობენ, ისეთი ტრავმა აქვს, სამი კვირა ფეხზე ვერ წამოდგებაო.

რა თქმა უნდა, რეინა არასწორად მოიქცა, მაგრამ რობენი როგორღა მოიქცა? თუ პროფესიონალი ხარ, შენი კოლეგა ისე არ უნდა გაწირო, რომ სამი მატჩი გამოტოვოს. რას იზამს დისციპლინარული კომისია? მსაჯს მეტი გამოცდილება მოეთხოვება“.

ჟოზე მაურინიუ გახარებული იყო და ამ ამბავზე ლაპარაკით თავი არ მოიქანცა: „რაფას კომენტარები არ მაინტერესებს. ზოგჯერ მწვრთნელები ისეთ რამეებს ამბობენ, რომ თავადაც არ სჯერათ. განსაკუთრებით წაგების შემდეგ“.

ირაკლი გამყრელიძე

რა ქალბატონი. რის ბებერი...

იუვენტუსი მსაჯებს მეძავებივით ყიდულობს

„მათ რესურსებს საზღვარი არა აქვს“ — თქვა „უდინეზეს“ თავკაცმა სერსე კოზმიმ „იუვენტუსთან“ მატჩის შემდეგ. მერე ეს სიტყვები „ინტერის“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ გაიმეორა. ოღონდ ისე არ გაიგოთ, თითქოს ისინი ტურინელთა სათამაშო რესურსებს ან პოტენციალს აქებდნენ. პირიქით, ლაპარაკია არბიტრების მიკერძოებულ მსაჯობაზე, იმაზე, რომ ისინი ზედმეტად ხშირად და საეჭვოდ ცდებიან „ბებერი ქალბატონის“ სასარგებლოდ.

სტერეოტიპი „იუვენტუსისა“ და მსაჯების „თბილი ურთიერთობის“ შესახებ საკმაოდ ძველია. „ბებერ ქალბატონს“ არბიტრების მოსყიდვაში ხშირად ადანაშაულებენ და ამაზე გაუთავებლად დავობენ. საბაბი ამჯერადაც არის, თანაც როგორი — „უდინეზესთან“ მატჩში ალესანდრო დელ პიერომ ერთადერთი გოლი აშკარა თამაშგარედან გაიტანა. სულეი ალი მუნტარი მინდვრიდან ტყუილად გააძევეს, ხოლო ფაბიო კანავარო ეუხეშა ხოსე ლუის ვიდიგალს, რომელსაც ცარიელ კარში გოლი უნდა გაეტანა, მაგრამ პენალტი არ დანიშნულა. ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, რომ ტურინელებმა უხერხული მეტოქე არბიტრების გვარიანი დახმარებით დაამარცხეს.

ამან ყველაზე მეტად მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობა განარისხა. ეს გასაგებიაცა, ახლა „ნეროაძური“ „იუვეს“ მთავარი კონკურენტია და მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად ჩამორჩება, სკუდეტოს მოგებაზე ჯერ ისევ ფიქრობს. თანაც „იტალიის დერბიმდე“ 6 დღე დარჩა. „იუვენტუსი“ „ინტერს“ „სან სიროზე“ ეწვევა და ეს შეხვედრა ბევრს გადაწყვეტს.

„როდესაც ფეხბურთელს ცარიელ კარში გოლის გატანას არ აცლიან და აშკარად მოცელავენ, ეს პენალტია. ოფსაიდიდან გატანილ გოლს და მუნტარის ტყუილად გაძევებას აღარც ვახსენებ. თუმცა, როგორც სერსე კოზმიმ თქვა, ყველამ ვიცით, რომ მათ რესურსებს საზღვარი არა აქვს“ — განაცხადა გაბრაზებულმა „ინტერის“ პრეზიდენტმა.

ამის მერე ფაკეტი ლუჩანო მოჯიზე გადაერთო. იგი ტურინელთა გენერალური დირექტორის ახლახან ნათქვამმა სიტყვებმა გააღიზიანა. მაშინ მოჯიმ თქვა — „ინტერი“ ნორმალურ ფორმაშია და, ალბათ, მეორე ადგილს შეინარჩუნებს კიდეცო.

ჯაჩინტო ფაკეტი: „დიდი მადლობა ბატონ მოჯის, რომ მეორე ადგილზე გასვლის უფლება მოგვცა. ეს ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა „იუვენტუსთან“ მატჩის წინ და მერე ვნახთ, ვინ რომელ ადგილზე გავა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია“.

პრეზიდენტისგან განსხვავებით, „ინტერის“ მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინის განცხადება მთლიანად ირონიული გახლდათ: „არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. დელ პიერომ სუფთა გოლი შეაგდო. მუნტარიც ნამდვილად იმსახურებდა გაგდებას, ხოლო კანავაროს იმ ეპიზოდში უხეშად არ უთამაშია. კოზმის სიტყვებიც გაუგებარია, „დელე ალპიზე“ ყველაფერი წესრიგში იყო“...

ცხადია, ეს კომენტარები უყურადღებოდ არ დაუტოვებია ლუჩანო მოჯის, რომელმაც თავი იმართლა და კონტრარგუმენტები დააზვავა. მისი თქმით, ამგვარი შეცდომები ხშირად ხდება ფეხბურთში და ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა უსაფუძვლოა.

„მაგალითად, იტალიის სუპერთასი სწორედ „ინტერთან“ უიღბლობასთან ერთად მსაჯების გამო წავაგეთ, დავიდ ტრეზეგეს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, მაგრამ მაშინ რატომღაც არც ჟურნალისტებს უთქვამთ რამე და არც სხვებს, ხოლო როდესაც მსაჯი „იუვეს“ სასარგებლოდ ცდება, ყველა აურზაურს ტეხს. არც ის გახსენებია ვინმეს, რომ „კიევოსთან“ პენალტი არ დაგვინიშნეს და ორი ქულა დავკარგეთ. ჩვენ კი ყოველთვის ჩუმად, მშვიდად ვართ და პრეტენზიებს არ ვაცხადებთ“ — თქვა მოჯიმ.

უშუალოდ ფაკეტის სიტყვებზე მისი კომენტარი ასეთია: „თუ მან რესურსებში ჩვენი კლასი და პოტენციალი იგულისხმა, მაშინ ვეთანხმები, სხვა შემთხვევაში კი ფაკეტის განცხადება აბსურდულია“.

ბოლოს, მოჯიმ ფაკეტის ისიც შეახსენა, რომ „იუვენტუსისა“ და „უდინეზეს“ მატჩის არბიტრ დატილოს „ინტერისთვის“ ორი საეჭვო პენალტი აქვს დანიშნული, რომელთა წყალობითაც „ნეროაძურიმ“ „კალიარის“ მოუგო. უდინელთა პრეზიდენტისა და მისი კარგი ნაცნობის ჯანპაოლო პოცოსადმი კი საჯაროდ გამოხატა სიმპათია და მოუბოდიშა კიდეც:

„სამწუხაროდ, „უდინეზე“ შეცდომის გამო დამარცხდა, რაზეც განსაკუთრებულად იმიტომ ვწუხვარ, რომ კლუბის პრეზიდენტ ჯანპაოლო პოცოს დიდ პატივს ვცემ, იგი ჩემი მეგობარია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თამაშგარე ნამდვილად იყო. ეს იქიდანაც კი ნათლად ჩანდა, სადაც მე ვიჯექი. ჩემი აზრით, პრობლემა უფრო თანამსაჯებშია. ვიდრე არბიტრებში. ალბათ, გვერდითი მსაჯი ცუდ პოზიციაში იდგა და ეპიზოდი ზუსტად ვერ შეაფასა“.

გიორგი კაკაბაძე

ჯოჯოხეთი 48 წლის წინ...

Manchester Evening News

UNITED CUP XI CRASH: "28 DIE"

1958 წელი. 6 თებერვალი. მიუნხენის აეროდრომი. ავდარი. აფრენის მესამე ცდაზე თვითმფრინავი, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები, თანამშრომლები და რამდენიმე ჟურნალისტი ისხდნენ, კატასტროფაში მოჰყვა. ორმოცდასამი მგზავრიდან დაიღუპა ოცდასამი. ბელგრადიდან მანჩესტერისკენ მიმავალი თვითმფრინავი მიუნხენში ავზის საწვავით შესავსებად გახლდათ დაშვებული. ბელგრადში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასზე „ცრვენა ზვეზდას" მოუგო და შინ ბრუნდებოდა. გადარჩენილთა შორის გახლდათ ცნობილი ინგლისელი საფეხბურთო მიმომხილველი ფრენკ ტეილორიც

როდესაც თვითმფრინავი გერმანულ მიწაზე დაეშვა, ყველა კარგ გუნებაზე იყო. ზოგი ბანქოს თამაშობდა, ზოგი ახალ ამბებზე ჭორაობდა, ზოგიც გარშემო უხვად დაყრილ წინგებსა და ჟურნალებს კითხულობდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ეძინათ.

G-ALZU AS 57 და მისი კაპიტანი კენეტ რეიმენტი ასაფრენად 14 საათისთვის იყვნენ მზად. მანამდე თვითმფრინავს მეორე კაპიტანი ჯეიმს ტეინი მართავდა, ასე რომ, მათ როლები გაცვალეს. ტრაგედიის შემდეგ ტეინი იგონებდა: „კენმა დროსელები გახსნა და ჩვენ ყველა აუცილებელი ბერკეტი სინქრონულად ავამოქმედეთ. მე ბრძანება გავეცი: წინ, სრული სვლით! ძრავები ახმაურდა, მაგრამ იმწუთასვე ვიგრძენით, რომ რაღაც ხდებოდა, ძრავები თანაბრად არ მუშაობდნენ. მოკლედ, თვითმფრინავი უკვე კარგად იყო გაქანებული, როდესაც კენმა მუხრუჭს დაჭირა. 40 წამში სრულიად გაჩერებულები ვიდექით.

მეორე ცდის წინ გადავწვიტეთ, დროსელები ოდნავ ადრე გაგვეხსნა, რათა ძრავები ადრე ამუშავებულიყო, მაგრამ იგივე განმეორდა — ძრავები გამოირთო. სანამ თვითმფრინავში საწვავს ხელახლა ვასხამდით, მგზავრები ბორტიდან ყავის დასალევად ჩავიდნენ".

„მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ბილ ფოულკსი: „ბელგრადიდან მიუნხენამდე გაუჩერებლად ვთამაშობდით ბანქოს და, მახსოვს, მიუნხენში თვითმფრინავიდან რომ ჩავედით, საშინლად შემცივდა. თან პირველ ჯერზე რომ ვერ ავფრინდით, ვიგრძენი, მგზავრთა ერთი ნაწილი აღელდა, მეორე უშედეგო ცდის შემდეგ კი ყველა გაჩუმდა... ჩამოსვლიდან თხუთმეტ წუთში ისევ ბორტზე გვიხმეს. თამაშის გუნებაზე აღარავინ იყო. მე ბანქოჯიბეში ჩავიდე და მესამე ცდის მოლოდინში თავი სკამს მივაყრდენი. დაახლოებით შუაში ვიჯექი, ფანჯარასთან. ჩემ უკან ისხდნენ მატ ბასბი და ბერტ უოლი. ასევე უკან ისხდნენ მარკ ჯონსი, ტომი ტეილორი, დანკან ედუარდსი და ედი კოლმენი. მახსოვს, დევიდ პეტი ადგა და თქვა, აქ ყოფნა არ მომწონს, თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობო და უკან გადავიდა სხვა ფეხბურთელებთან. ფრენკ სვიფტმაც მას მიბაძა. დანარჩენები ჩემ შორიახლოს ისხდნენ".

ჯეიმს ტეინი: „კენს ვუთხარი, რომ ძრავები შეგვიკეთეს და დროსელებს ვაკონტროლებდი. კენმა ისინი 28-ე პოზიციაზე გახსნა. ყველაფერი კარგად მუშაობდა. დავიძარით. ის დროსელებს ხსნიდა, მე ვეხმარებოდი. ყველა რომ გავხსენით, მან თქვა: წინ, სრული სვლით! მე მონაცემები შევამოწმე და დავუდასტურე.

მაგრამ მალე ისევ პრობლემა შევამჩნიე და კენს ვუთხარი. მან დროსელები დახურა. სპიდომეტრზე ძალიან არასტაბილურად იდგა ციფრი 105. შემდეგ სპიდომეტრმა 117 აჩვენა. მე რაცია ავიღე და გადავეცი, რომ ფრენა საშიშროების წინაშე იდგა. წამში სისწრაფე 112-მდე დაეცა, შემდეგ 105-მდე. კენმა დაიყვირა: ღმერთო ჩემო, ვეღარაფერს ვხდებით! წინ გავიხედე და თოვლი, სახლი და აეროპორტის გვერდით ხე დავინახე."

კატასტროფის შემდეგ თვითმფრინავის ცნობა შეუძლებელი გახლდათ. ის დაეჯახა სახლს, რომელიც მყისვე აალდა. ფიუზელაჟი ხეს გამოედო. სახლის გვერდით დაწყობილი საწვავით სავსე კასრები ერთი-მეორის მიყოლებით აფეთქდა.

ბილ ფოულკსს ეს ყველაფერი ახსოვს: „თვითმფრინავის უკანა ნაწილი უბრალოდ დაიკარგა. მე რაც ძალი და ღონე მქონდა, გამოვიქეცი, თავქუდმოგლეჯილი მივრბოდი. მაშინლა დავბრუნდი, როდესაც მივხვდი, რომ თვითმფრინავი არ აფეთქებოდა. ახლა უკვე უკან მოვრბოდი, თვითმფრინავის ცეცხლმოდებული ნაწილებისკენ. როჯერ ბენი ქამრით სკამს იყო მიმაგრებული, ბობი ჩარლტონი სხვა სკამზე გაუნძრევლად იწვა. შემდეგ ჰარი გრეტი მოვიდა და ხალხის ძებნა დავიწყეთ, ვისი დახმარებაც კიდევ შეიძლებოდა, უნდა დავხმარებოდით.

ჩვენმა ორმა თანაგუნდელმა მატ ბასბის უშველა. მწვრთნელი მძიმედ იყო დაშავებული. გონს მოგებული ბობი ჩარლტონიც შემოგვიერთდა მეგობრებს. დაშავებულები მიუნხენის Rechts de Isar კლინიკაში გადაჰყავდათ.

საავადმყოფოში ფრენკ ტეილორთან მივედით. მან ლუდის დალევა შემოგვთავაზა. პირველ საათებში ჯერ კიდევ არ გვესმოდა, რამხელა ტრაგედია დატრიალდა. მედდას ვკითხე, სხვა ბიჭები სადღა არიან-მეთქი. მან რაღაცნაირად შემომხედა და მიპასუხა, ვინც გადარჩა, ყველა აქ არისო. მაშინღა დავგარტყა თავში: გუნდი, რომელსაც ბასბის ბავშვებს უწოდებდნენ, აღარ არსებობდა".

აქ გადარჩენილთა და დაღუპულთა გვარების ჩამოთვლას აზრი აღარ აქვს. ეს წერილის მასშტაბებს გასცილდებოდა. დაიღუპა ცხრა ჟურნალისტიდან რვა. დაიღუპა თვითმფრინავის ერთი კაპიტანი. დაიღუპა ერთი ქომაგი და ერთიც ტურისტული აგენტი.

გადარჩენილი ცხრა ფეხბურთელიდან ორმა ვეღარასოდეს გააგორა ბურთი. გადარჩენ ტურისტული აგენტის მეუღლე, ორი ფოტორეპორტიორი და კიდევ ორი იუგოსლავიელი მგზავრი, რომელთაგან ერთი ჩვილით იყო.

...ტრაგედიიდან 13 დღის შემდეგ „შეფილდ უენსდის" „მანჩესტერ იუნაიტედის" სულ სხვა შემადგენლობა შეხვდა. შეფილდელებს, ცხადია, გამარჯვების მცირე შანსიც არ ჰქონდათ — „მანჩესტერმა" 3:0 მოიგო. ამ მატჩიდან ორი დღის შემდეგ კი საავადმყოფოში გარდაიცვალა თაობის ყველაზე კაშკაშა ამომავალი ვარსკვლავი დანკან ედვარდსი. მან სიცოცხლისთვის ყველაზე დიდხანს იბრძოლა.

პაპუნა კედია





დანკან ედვარდსი და მისი უკანასკნელი დეპეშა, რომელიც მან საცოლეს გაუგზავნა, აფრენა შეყოვნდაო



სკანდალი ერთი ტონით მაღლა

კასკარინო თითქმის აღიარებს: დოპინგი იყო!

ტონი კასკარინოს ახალგაზრდობაშივე აეჭვებდა სისწრაფისა და ღონის მოზღვავება

სკანდალი გრძელდება: ირლანდიის ნაკრების ოდინდელმა თავდამსხმელმა ტონი კასკარინომ შაბათს მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ „მარსელში" თამაშის დროს (1994-95) ის და მისი თანაგუნდელები ხშირად იკეთებდნენ ნემსებს მათთვის უცნობი ნივთიერებით. მოგეხსენებათ, „მარსელი" 90-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთსა თუ ევროპაში დიდად წარმატებული გუნდი გახლდათ. 1993 წელს ფრანგულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა.

„არ ვიცი, რა იყო, მაგრამ 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ რაც იყო, ლეგალური არ იქნებოდა" — განუცხადა კასკარინომ ფრანგულ გაზეთ „ეკიპს".

ტონი კასკარინოს ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში 88 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ის მონაწილეობდა 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში. „მარსელის" მაისურით მან 61 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც იტალიელი მამისა და ინგლისელი დედის ირლანდიელმა შვილმა დოპინგის შესახებ ხმა ამოიღო და „მარსელის" მაშინდელი პრეზიდენტის, ისედაც აურაცხელ ცოდვებში მხილებული ბერნარ ტაპის მორიგი მხილება სცადა. პირველად იგი ამ თემას ინგლისურ გაზეთ „თაიმზში" გამოქვეყნებულ საავტორო სვეტში შეეხო, რაც 2003 წლის დეკემბრის ამბავია, ახლა კი, ჟან-ჟაკ ეიდელის აგორებულ ახალ ტალღას აჰყვა: ეიდელის მტკიცებით, 1993 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ „მარსელის" ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელების ბრძანებით დოპინგის ნემსები გაუკეთეს. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ბერნარ ტაპიმ ეიდელსა და გაზეთ „ეკიპს", სადაც ინტერვიუ გამოქვეყნდა, სასამართლოში უჩივლა.

„დიახ, ფეხბურთელები თამაშების წინ ვიკეთებდით ნემსებს — განაცხადა კასკარინომ, რომელიც 1993 წლის ამბავს ვერ შეესწრებოდა, რადგან მაშინ სხვაგან თამაშობდა — ვიმეორებ, არ ვიცი, რას ვიკეთებდით, მაგრამ ნემსის შემდეგ თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი. ვიყავი გაცილებით სწრაფი და ღონიერი, რაც სულ მეტ და მეტ ეჭვს აღძიძრავდა"

დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ კასკარინოს განცხადებას გამოხმაურება მოჰყვება.

პაპუნა კედია

გერმანია

ბუნდესლიგა გაიჭყლიტა

დასვენება? არა, ფეხბურთი!

ორდღიანი შესვენების შემდეგ ბუნდესლიგა ბურთს უბრუნდება. ფეხბურთელებმა ბუცების დაბერტყვაც ვერ მოასწრეს, ისევ მოედანზე გასვლა მოუწევთ. ასეთი კალენდარი იმის ბრალია, რომ წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატია.

ვისაც სათადარიგოთა სკამის პრობლემა არ აქვს, ის გაუძლებს ასეთ გრაფიკს, დანარჩენებს კი გაუჭირდებათ ოთხ დღეში ორი მატჩის თამაში.

მეორე წრეში ორი ტური ჩამთავრდა და ცხრილში ბევრი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ჰამბურგის" მაგივრად „ბაიერნს" ახლა „ვერდერი" მისდევს. „ვერდერი" კი ის გუნდია, რომელმაც 19 მატჩში 51 გოლი გაიტანა.

მიუნხენის „ბაიერნში" კვლავ წამოყო თავი მიხაელ ბალაკის წასვლადარჩენის ამბავმა. ბალაკმა თქვა, რომ ამჟამად მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს და არა ტრანსფერზე. გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ბოლო ორ მატჩში ორი გოლი გაიტანა და აშკარად იშტაზეა. დღეს „ბაიერნი" ბერლინის „ჰერთას" ესტუმრება, სავარაუდოდ, ვილი სანიოლის გარეშე, რომელიც ტრავმირებულია. გამოკეთდა სებასტიან დაისლერი, მაგრამ ფელიქს მაგათმა განაცხადა, დაისლერის თამაშს ჯერ ვერ გავრისკავო.

მეორე წრეში „ჰერთას" ჯერ თამაში არ მოუგია. გუნდი მოლაყლაყებულია, თუმც „ბაიერნის" წინააღმდეგ ყველა თავს იგიჟებს და მიუნხენელ სტუმრებს ბერლინიდან სამ ქულას იოლად არ გაატანენ.

ბრემენის „ვერდერს" ურთულესი მატჩი ელის ფრეების მოყვარულ „შტუტგარტთან", რომელსაც შინ მხოლოდ ორჯერ მოუგია და ეგებ „მუსიკოსებთან" მესამე გაახერხოს.

ათი დღის წინ ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა შტუტგარტში „დუისბურგთან" წააგო და „ვერდერთან" მარცხი იტალიელს შეიძლება აღარ აპატიონ. მით უმეტეს, ტრაპატონის რამდენიმე შეგირდი ასჯანყებია, რა უხეირო ტაქტიკით გვათამაშებსო.

XX ტური

დღეს

დორტმუნდი	:	დუისბურგი
ლაუტერნი	:	კიოლნი
მაინცი	:	არმინია
ჰერტა	:	ბაიერნი

ხვალ

შტუტგარტი	:	ვერდერი
ნიურნბერგი	:	აინტრახტი
ლევერკუზენი	:	ვოლფსბურგი
გლადბახი	:	შალკე
ჰანოვერი	:	ჰამბურგი

ბაიერნი	19	16	2	1	39:13	50
ვერდერი	19	13	3	3	51:23	42
ჰამბურგი	19	12	5	2	31:12	41
შალკე	19	9	8	2	22:12	35
ჰერტა	19	7	7	5	29:26	28
შტუტგარტი	19	5	11	3	21:18	26
დორტმუნდი	19	6	7	6	26:26	25
გლადბახი	19	6	7	6	25:26	25
ჰანოვერი	19	4	11	4	28:25	23
ლევერკუზენი	19	5	7	7	26:28	22
აინტრახტი	19	6	4	9	26:30	22
ვოლფსბურგი	19	5	6	8	21:32	21
არმინია	19	5	5	9	22:28	20
მაინცი	19	5	4	10	30:32	19
ნიურნბერგი	19	4	6	9	21:32	18
დუისბურგი	19	3	7	9	18:33	16
კიოლნი	19	3	4	12	26:43	13
ლაუტერნი	19	3	4	12	25:48	13

არანაკლებ რთული იქნება „ჰამბურგისთვის" ჰანოვერიდან სამი ქულის წაღება. „ჰანოვერი" მიჯრით ცხრა მატჩში არ დამარცხებულა და არც ხვალ აპირებს ცხვირის ჩამოშვებას. ილტონით გამდიდრებულმა თიმას დოლის „ჰამბურგმა" მეორე წრე მძიმედ დაიწყო. გასულ უქმეებზე შინ „არმინის" კი მოუგო, მაგრამ გაჭირვებით.

მირკო სლომკას „შალკემ" წლეულს ორი ქულა მიითვალა და კვლავაც ძალუძს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა. „ხუმარები" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ეწვევიან, რომელმაც ზედიზედ ორი თამაში წააგო და ცხრილში ნელ-ნელა ქვემოთ მიიწევს.

დიდი რიარია იქნება კაიზერსლაუტერნში, სადაც მასპინძლები მთასავით დაჩანაკებულ კოლნელ „თხებს" დაუხვდებიან. ამ მატჩის მომგები სულ ოდნავ, მაგრამ მაინც გაიუმჯობესებს ბუნდესლიგაში დარჩენის შანსს.

ვაჟა ხუციშვილი

აფრიკის ერეოვნებათა თასი

ღმერთი გადაწყვეტს

ნახევარფინალი

ნიგერია — კოტ დივუარი

„სუპერარწივების" კაპიტანი ჯეი ჯეი ოკოჩა დარწმუნებულია, რომ მის ნაკრებს კოტდივუარელი „სპილოების" დამარცხება შეუძლია. მას შემდეგ, რაც ნიგერიამ მეოთხედფინალში წინა გათამაშების ჩემპიონ ტუნისს სძლია, ოკოჩას აზრით, მათ გუნდს ვეღარავინ შეაჩერებს.

ნიგერია და კოტ დივუარი ერთმანეთს 1994 წელს ეროვნებათა თასის ნახევარფინალში შეხვედრიან. მაშინ „სუპერარწივები" ფინალში გავიდნენ და თასიც დაისაკუთრეს. „ყველაფერი ისე მიდის, როგორც 12 წლის წინ ტუნისში იყო. ჩვენს ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, რომლებიც მატჩიდან მატჩამდე უმატებენ" — თქვა კაპიტანმა.

ჯეი ჯეი ოკოჩას ეგვიპტეში ტრავმის გამო ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ახლა მომჯობინდა და ნიგერიელებს დღეს დაეხმარება.

„სუპერარწივებს" მარჯვენა მცველი ჩიდი ოდია დაუშავდათ, იგი ნახევარფინალს ალბათ გამოტოვებს. „ნახევარფინალში სუსტი მეტოქეები არ არსებობენ — განაცხადა ოდიმ — იოლ თამაშს არავინ ელის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვიგებთ".

მთავარმა „სპილომ" დიდიე დროგბამ თქვა, ღმერთი გადაწყვეტს, ვინ გავა ფინალშიო. კამერუნთან პენალტების სერიაში სწორედ დიდიე „ტიტო" დროგბამ გაიტანა გამარჯვებისა და ღმერთი იმ მატჩში „ტიტოსკენ" იყო, ნიგერიასთან კი ვნახოთ...

ეგვიპტე — სენეგალი

ეროვნებათა თასის ოთხგზის მფლობელი ეგვიპტელი „ფარაონები" მეხუთე ტიტულისკენ მიიწევენ, მაგრამ ფინალამდე „ტერანგელ ლომებთან" ბრძოლა მოუწევთ.

74 ათასი ქომაგის ღრიანცელში „ლომებს" ალბათ გაუჭირდებათ მასპინძლებთან ტოლ-სწორად თამაში, თუმც სენეგალის მწვრთნელი აბდულაიე სარი სხვაგვარად ფიქრობს: „ჩვენ ტურნირი ცუდად დავიწყეთ. ჯგუფში ორი მატჩი წავაგეთ და მეოთხედფინალში მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით მოვხვდით. არავინ ელოდა, რომ გვინეას მოვუგებდით და ნახევარფინალში გავიდოდით, მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ, გუნდი ნელ-ნელა ეშხში შევიდა, გზადაგზა პროგრესიც აშკარაა. ჩემმა ფეხბურთელებმა ისწავლეს, რომ თამაში 90 წუთი გრძელდება და ბრძოლა მაშინაც შეიძლება, როცა აგებ. ეგვიპტესთანაც არ გვთვლიან ფავორიტად, მაგრამ არავისი გვეშინია".

სარი კი ბჭობს, მაგრამ მისი გუნდის დაცვა ტურნირზე ერთ-ერთი უსუსტესია. მეკარე ტონი სილვა აშკარად ვერაა ფორმაში და წინა მატჩებში ორჯერ საგოლედ შეცდა. ძალიან ძნელი სავარაუდოა, რომ მიდოსა და „ახალგამოცხვარ" ფორვად იმად მოტაებს სენეგალელთა მცველები გაუმკლავდნენ.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი ⅋ კროკი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	408	ჩარლტონი-ლივერპული	4.90	3.30	1.70	1.97	1.26	1.12

ინგლისი. I ლიგა
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	28	კოლჩესტერი-სკანთორპი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09

ინგლისი. II ლიგა
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	41	ბერი-რაშდენი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67

შოტლანდია. პრემიერლიგა
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	66	დანდი იუნაიტედი-ჰარტსი	3.90	3.20	1.85	1.75	1.25	1.17

8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	68	სელტიკი-ფოლკირკი	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
23:45	70	დანფერმლაინი-ინვერნესი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
23:45	71	ჰიბერნიანი-ლივინგსტონი	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
23:45	73	კილმარნოკი-მოზერუელი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
23:45	74	აბერდინი-რეინჯერსი	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08

გერმანია. I ბუნდესლიგა
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	97	ჰერტა-ბაიერნი	4.20	3.30	1.80	1.84	1.25	1.16
23:00	98	ჰერტა-ბაიერნი 1:0	1.90	3.50	3.00			
23:00	99	მაინცი-არმინია	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
23:00	100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.55	3.60	5.70	1.08	1.21	2.20
23:00	101	ლაუტერნი-კიოლნი	2.10	3.30	3.25	1.28	1.27	1.63

8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	102	ნიურნბერგი-აინტრახტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
23:00	103	ჰანოვერი-ჰამბურგი	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
23:00	105	შტუტგარტი-ვერდერი	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
23:00	106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.80	3.40	4.20	1.17	1.25	1.87
23:00	107	მიონხენგლადბახი-შალკე	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38

იტალია. სერია A
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	147	რომა-კალიარი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
23:30	149	ლეჩე-ემპოლი	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
23:30	150	ფიორენტინა-ინტერი	2.85	3.00	2.45	1.46	1.31	1.34
23:30	151	პალერმო-ლაციო	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
23:30	152	ასკოლი-ლივორნო	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
23:30	153	კიევო-სამპდორია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:30	154	მესინა-სიენა	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
23:30	155	მილანი-ტრევისო	1.15	6.50	15.00	1.00	1.06	4.53
23:30	157	იუვენტუსი-პარმა	1.20	5.80	12.00	1.00	1.09	3.91
23:30	159	უდინესე-რეჯინა	1.80	3.00	4.50	1.12	1.28	1.79

იტალია. სერია B
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	171	ტერნანა-ატალანტა	2.80	2.70	2.45	1.37	1.30	1.28
23:30	172	ბოლონია-ბარი	1.80	2.90	4.40	1.11	1.27	1.74
23:30	173	აველინო-ჩესენა	2.75	2.70	2.60	1.36	1.33	1.32
23:30	174	რიმინი-მანტოვა	2.55	2.70	2.70	1.31	1.31	1.35
23:30	175	პესკარა-მოდენა	2.00	2.80	3.80	1.16	1.31	1.61
23:30	176	ალბინოლეფე-პიაჩენცა	2.35	2.60	3.20	1.23	1.35	1.43
23:30	177	ვიჩენცა-ტორინო	2.85	2.70	2.45	1.38	1.31	1.28
23:30	178	ბრეშა-ვერონა	1.85	2.90	4.20	1.12	1.28	1.71

იტალია. სერია C1/A
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	407	ჯენოა-ნოვარა	1.25	4.40	9.50	1.00	1.10	3.00

ესპანეთი. I დივიზიონი
11 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	197	ბილბაო-რეალი	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19
23:00	200	კადისი-სევილია	2.75	3.00	2.50	1.43	1.30	1.36
23:45	203	ოსასუნა-სარაგოსა	2.00	3.10	3.65	1.21	1.29	1.67

12 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	193	ვალენსია-ბარსელონა	2.90	3.00	2.40	1.47	1.31	1.33
20:00	194	მალიორკა-ხეტაფე	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
20:00	195	ბეტისი-დეპორტივო	2.50	3.00	2.75	1.36	1.30	1.43
20:00	196	ალავესი-მალაგა	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
20:00	199	ესპანიოლი-რასინგი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
22:00	201	ატლეტიკო-სოსიედადი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
20:00	202	სელტა-ვალიადოლი	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52

საფრანგეთი. I დივიზიონი
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	409	სტრასბური-პსჟ	3.10	2.90	2.30	1.49	1.32	1.28

ჰოლანდია. I დივიზიონი
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	263	როხენდალი-ალკმაარი	8.00	4.60	1.30	2.92	1.11	1.01
23:00	264	სპარტა-გრონინგენი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35

8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	265	ჰერაკლესი-ჰერენვენი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
22:30	266	დენ ჰაგი-ბრედა	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
23:00	267	ნაიმეგენი-ფეიენოორდი	3.80	3.30	1.85	1.76	1.24	1.18
23:00	268	უტრეხტი-პსვ	4.20	3.40	1.70	1.87	1.21	1.13
23:00	270	როდა-ვალვაიკი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
23:00	271	ვიტესი-ტვენტე	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
23:15	272	აიაქსი-ტილბურგი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10

ინგლისი. თასი
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	376	ბირმინგემი-რედინგი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
23:45	378	კრ. პალასი-პრესტონი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52

8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	377	მიდლსბრო-ქოვენთრი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
23:45	379	ჩელსი-ევერტონი	1.25	5.00	9.50	1.00	1.10	3.27

ესპანეთი. თასი
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	397	სარაგოსა-რეალი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23

9 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	398	ესპანიოლი-დეპორტივო	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41

საფრანგეთი. თასი
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	380	მონაკო-ნიცა	1.85	2.90	4.60	1.12	1.31	1.77

8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	381	ნანსი-ლე მანი	2.10	3.00	3.35	1.23	1.29	1.58

ბელგია. თასი
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	382	ბევერენი-მუსკრონი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
23:30	383	შარლეროა-სტ.-ტრუიდენი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
23:30	384	სტანდარდი-გენტი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
23:30	385	ვესტერლო-ვარუეემი	2.15	3.40	2.75	1.31	1.20	1.52

საბერძნეთი. თასი
8 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	386	აკრატიტოსი-ოლიმპია	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34

9 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	387	ქანთი-ოლიმპიაკოსი	4.20	3.10	1.80	1.78	1.25	1.13

ფეხბურთი
აფრიკის თასი 2006

ეგვიპტე
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	400	ნიგერია-კოტ დი'ვარი	2.50	3.00	2.70	1.36	1.29	1.42
21:00	401	ეგვიპტე-სენეგალი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77

ჰოკეი. ფინეთი
7 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	508	ტაპარა-ესპი	1.70	4.20	2.80	1.21	1.05	1.67
20:30	509	ჰელსინკი-იუვესკ�ულე	1.60	4.40	3.00	1.17	1.04	1.78
20:30	510	პელიკანი-ილვესი	2.30	4.10	2.00	1.47	1.06	1.34
20:30	511	სეიპა-კერპეტი	2.30	4.10	2.00	1.47	1.06	1.34
20:30	512	ჰაამეენლინა-ესპოო	1.60	4.20	3.10	1.15	1.05	1.78

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15097	ჰერტა-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15099	მაინცი-არმინია	3.00	2.80	2.00
15100	დორტმუნდი-დუისბურგი	3.00	2.80	2.00
15101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	3.00	2.80	2.00
15102	ნიურნბერგი-აინტრახტი	3.00	2.80	2.00
15103	ჰანოვერი-ჰამბურგი	3.00	2.80	2.00
15105	შტუტგარტი-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15107	მიონხენგლადბახი-შალკე	3.00	2.80	2.00
15147	რომა-კალიარი	3.00	2.80	2.00
15149	ლეჩე-ემპოლი	3.00	2.80	2.00
15150	ფიორენტინა-ინტერი	3.00	2.80	2.00
15151	პალერმო-ლაციო	3.00	2.80	2.00
15152	ასკოლი-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15153	კიევო-სამპდორია	3.00	2.80	2.00
15154	მესინა-სიენა	3.00	2.80	2.00
15155	მილანი-ტრევისო	3.00	2.80	2.00
15157	იუვენტუსი-პარმა	3.00	2.80	2.00
15159	უდინესე-რეჯინა	3.00	2.80	2.00
15400	ნიგერია-კოტ დი'ვარი	3.00	2.80	2.00
15401	ეგვიპტე-სენეგალი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე
(ძირ დრო)

16097	ჰერტა-ბაიერნი	2.70	------	1.35
16099	მაინცი-არმინია	1.45	------	2.30
16100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.20	------	3.50
16101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	1.50	------	2.40
16102	ნიურნბერგი-აინტრახტი	1.55	------	2.10
16103	ჰანოვერი-ჰამბურგი	1.90	------	1.60
16105	შტუტგარტი-ვერდერი	1.80	------	1.80
16106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.35	------	2.60
16107	მიონხენგლადბახი-შალკე	1.90	------	1.60
16147	რომა-კალიარი	1.11	------	4.50
16149	ლეჩე-ემპოლი	1.50	------	2.25
16150	ფიორენტინა-ინტერი	2.00	------	1.60
16151	პალერმო-ლაციო	1.60	------	2.00
16152	ასკოლი-ლივორნო	1.60	------	2.05
16153	კიევო-სამპდორია	1.50	------	2.25
16154	მესინა-სიენა	1.50	------	2.25
16159	უდინესე-რეჯინა	1.35	------	2.90
16400	ნიგერია-კოტ დი'ვარი	1.70	------	1.80
16401	ეგვიპტე-სენეგალი	1.30	------	2.50

გოლი:ზუსტი-10უ კენტი-2.
(0:0 ითვლება ზუსტად)

17097	ჰერტა-ბაიერნი	1.85	------	1.95
17099	მაინცი-არმინია	1.85	------	1.95
17100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.85	------	1.95
17101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	1.85	------	1.95
17102	ნიურნბერგი-აინტრახტი	1.85	------	1.95
17103	ჰანოვერი-ჰამბურგი	1.85	------	1.95
17105	შტუტგარტი-ვერდერი	1.85	------	1.95
17106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.85	------	1.95
17107	მიონხენგლადბახი-შალკე	1.85	------	1.95
17147	რომა-კალიარი	1.85	------	1.95
17149	ლეჩე-ემპოლი	1.85	------	1.95
17150	ფიორენტინა-ინტერი	1.85	------	1.95
17151	პალერმო-ლაციო	1.85	------	1.95
17152	ასკოლი-ლივორნო	1.85	------	1.95
17153	კიევო-სამპდორია	1.85	------	1.95
17154	მესინა-სიენა	1.85	------	1.95
17155	მილანი-ტრევისო	1.85	------	1.95
17157	იუვენტუსი-პარმა	1.85	------	1.95
17159	უდინესე-რეჯინა	1.85	------	1.95
17400	ნიგერია-კოტ დი'ვარი	1.85	------	1.95
17401	ეგვიპტე-სენეგალი	1.85	------	1.95

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10097	ჰერტა-ბაიერნი	4.50	2.00	2.20	1.38	1.47	1.04
10099	მაინცი-არმინია	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.85	2.10	5.50	1.00	1.38	1.51
10101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10102	ნიურნბერგი-აინტრახტი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10103	ჰანოვერი-ჰამბურგი	3.30	2.00	2.70	1.24	1.48	1.14
10105	შტუტგარტი-ვერდერი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	2.15	2.00	4.80	1.03	1.48	1.41
10107	მიონხენგლადბახი-შალკე	3.20	2.00	2.70	1.23	1.46	1.14
10147	რომა-კალიარი	1.60	2.30	6.50	1.00	1.28	1.69
10149	ლეჩე-ემპოლი	2.60	1.90	3.60	1.09	1.50	1.24
10150	ფიორენტინა-ინტერი	3.20	2.00	2.85	1.23	1.50	1.17
10151	პალერმო-ლაციო	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10152	ასკოლი-ლივორნო	2.75	2.00	3.20	1.15	1.47	1.23
10153	კიევო-სამპდორია	2.50	2.00	3.65	1.11	1.48	1.29
10154	მესინა-სიენა	2.60	2.00	3.60	1.13	1.50	1.28
10155	მილანი-ტრევიზო	1.35	2.60	9.00	1.00	1.17	2.01
10157	იუვენტუსი-პარმა	1.35	2.60	9.00	1.00	1.17	2.01
10159	უდინესე-რეჯინა	2.20	2.00	4.75	1.04	1.50	1.40
10400	ნიცერია-კოტ დიუარი	2.90	2.00	3.10	1.18	1.49	1.21
10401	ეგვიპტე-სენეგალი	2.20	2.00	4.30	1.04	1.45	1.36

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11097	ჰერტა-ბაიერნი	7.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.30
11099	მაინცი-არმინია	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50
11100	დორტმუნდი-დუისბურგი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11101	ლაუტერნი-კიოლნი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11102	ნიურნბერგი-აინტრახტი	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11103	ჰანოვერი-ჰამბურგი	4.40	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.20
11105	შტუტგარტი-ვერდერი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.50
11106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11107	გლადბახი-შალკე	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.40
11147	რომა-კალიარი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11149	ლეჩე-ემპოლი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.50	20.00	10.00	4.80
11150	ფიორენტინა-ინტერი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11151	პალერმო-ლაციო	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.50
11152	ასკოლი-ლივორნო	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11153	კიევო-სამპდორია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11154	მესინა-სიენა	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.50	20.00	10.00	4.80
11159	უდინესე-რეჯინა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11400	ნიცერია-კოტ დიუარი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11401	ეგვიპტე-სენეგალი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12097	ჰერტა-ბაიერნი	2.00	1.60
12099	მაინცი-არმინია	2.00	1.60
12100	დორტმუნდი-დუისბურგი	2.00	1.60
12101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	2.10	1.60
12102	ნიურნბერგი-აინტრახტი	2.00	1.60
12103	ჰანოვერი-ჰამბურგი	1.90	1.70
12105	შტუტგარტი-ვერდერი	2.00	1.60
12106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	2.00	1.60
12107	მიონხენგლადბახი-შალკე	1.90	1.70
12147	რომა-კალიარი	2.00	1.60
12149	ლეჩე-ემპოლი	1.70	1.90
12150	ფიორენტინა-ინტერი	1.70	1.90
12151	პალერმო-ლაციო	1.70	1.90
12152	ასკოლი-ლივორნო	1.60	2.00
12153	კიევო-სამპდორია	1.70	1.90
12154	მესინა-სიენა	1.60	2.00
12155	მილანი-ტრევიზო	2.10	1.60
12157	იუვენტუსი-პარმა	2.10	1.60
12159	უდინესე-რეჯინა	1.60	2.00
12400	ნიცერია-კოტ დიუარი	1.55	2.10
12401	ეგვიპტე-სენეგალი	1.60	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13097	ჰერტა-ბაიერნი	1.70	1.90
13099	მაინცი-არმინია	1.70	1.90
13100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.90	1.60
13101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	1.60	2.00
13102	ნიურნბერგი-აინტრახტი	1.60	2.00
13103	ჰანოვერი-ჰამბურგი	1.55	2.10
13105	შტუტგარტი-ვერდერი	1.60	1.90
13106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.70	1.90
13107	მიონხენგლადბახი-შალკე	1.55	2.10
13147	რომა-კალიარი	1.90	1.60
13149	ლეჩე-ემპოლი	1.70	1.90
13150	ფიორენტინა-ინტერი	1.70	1.90
13151	პალერმო-ლაციო	1.60	2.00
13152	ასკოლი-ლივორნო	1.60	2.00
13153	კიევო-სამპდორია	1.70	1.90
13154	მესინა-სიენა	1.70	1.90
13155	მილანი-ტრევიზო	2.00	1.55
13157	იუვენტუსი-პარმა	2.00	1.55
13159	უდინესე-რეჯინა	1.70	1.90
13400	ნიცერია-კოტ დიუარი	1.70	1.90
13401	ეგვიპტე-სენეგალი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის **0-0** დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14097	ჰერტა-ბაიერნი	2.30	1.60
14099	მაინცი-არმინია	1.70	2.20
14100	დორტმუნდი-დუისბურგი	1.30	2.50
14101	კაისერსლაუტერნი-კიოლნი	1.70	2.10
14102	ნიურნბერგი-აინტრახტი	1.80	2.00
14103	ჰანოვერი-ჰამბურგი	2.00	1.80
14105	შტუტგარტი-ვერდერი	1.95	1.85
14106	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.45	2.40
14107	მიონხენგლადბახი-შალკე	1.95	1.85
14147	რომა-კალიარი	1.20	2.60
14149	ლეჩე-ემპოლი	1.80	2.00
14150	ფიორენტინა-ინტერი	1.90	1.90
14151	პალერმო-ლაციო	1.85	1.95
14152	ასკოლი-ლივორნო	1.85	1.95
14153	კიევო-სამპდორია	1.75	2.10
14154	მესინა-სიენა	1.80	2.00
14155	მილანი-ტრევიზო	1.03	2.90
14157	იუვენტუსი-პარმა	1.03	2.90
14159	უდინესე-რეჯინა	1.55	2.35
14400	ნიცერია-კოტ დიუარი	1.70	1.85
14401	ეგვიპტე-სენეგალი	1.55	2.20

ჩემპიონთა ლიგა 21 თებერვალი

23:45	9008	ინტერი	9.00	23:45	9008	რეინჯერსი	90.00
23:45	9008	არსენალი	14.00	23:45	9008	ბაიერნი	13.00
23:45	9008	ლიონი	10.00	23:45	9008	ვილიარეალი	25.00
23:45	9008	რეალი	14.00	23:45	9008	პსვ	45.00
23:45	9008	იუვენტუსი	5.50	23:45	9008	აიაქსი	55.00
23:45	9008	მილანი	9.00	23:45	9008	ვერდერი	55.00
23:45	9008	ბენფიკა	50.00	23:45	9008	ჩელსი	5.80
23:45	9008	ლივერპული	13.00	23:45	9008	ბარსელონა	5.20

უეფას თასი. 15 თებერვალი

23:45	9009	ბოლტონი	19.00	18:00	9009	თუნი	100.00	23:45	9009	ზენიტი	35.00
23:45	9009	სტრასბურგი	40.00	23:45	9009	ჰერენფენი	80.00	23:45	9009	ესპანიოლი	25.00
23:45	9009	სევილია	15.00	23:45	9009	ლეჩჩი	85.00	23:45	9009	ლანი	30.00
23:45	9009	ჰერტა	19.00	18:00	9009	პეტრეტელა	65.00	23:45	9009	სუიაკა	30.00
23:45	9009	ალკმაარი	13.00	23:45	9009	ლეგიომოტივი(ე)	26.00	23:45	9009	ლაპზერგი	8.50
23:45	9009	ლიტექსი	100.00	18:00	9009	შალკე	11.00	23:45	9009	ქარსელი	17.00
18:00	9009	ბრიუგე	55.00	23:45	9009	რიგა	15.00	23:45	9009	პალერმი	20.00
23:45	9009	ჰონაგი	13.00	23:45	9009	შახტარი	17.00	23:45	9009	შტეგბარტი	20.00
23:45	9009	ხლავია	80.00	23:45	9009	ბასელი	70.00	18:00	9009	ბეტისი	17.00
23:45	9009	რაბიდი	80.00	23:45	9009	მიდლსბრო	16.00	18:00	9009	უდინესე	16.00
18:00	9009	რუსენბორგი	90.00	18:00	9009	ლილი	21.00				

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

18:00	9012	იაპონია	130.00	18:00	9012	შვეიცია	28.00	18:00	9012	გერმანია	7.50
18:00	9012	ესპანეთი	12.00	18:00	9012	ტუნისი	280.00	18:00	9012	ინგლისი	6.50
18:00	9012	ავსტრალია	80.00	18:00	9012	პორტუგალია	18.00	18:00	9012	ბრაზილია	3.70
18:00	9012	პოლონეთი	75.00	18:00	9012	აშშ	95.00	18:00	9012	შვეიცარია	100.00
18:00	9012	ხორვატია	50.00	18:00	9012	არგენტინა	9.00	18:00	9012	ნიხეთი	25.00
18:00	9012	უკრაინა	45.00	18:00	9012	იტალია	8.50	18:00	9012	ტოგო	290.00
18:00	9012	მექსიკა	40.00								

18:00	9012	ჰოლანდია	15.00	18:00	9012	კორეა	250.00				
18:00	9012	კოტ დიუარი	80.00	18:00	9012	განა	190.00				
18:00	9012	საუდის არაბეთი	600.00	18:00	9012	პარაგვაი	130.00				
18:00	9012	საფრანგეთი	10.00	18:00	9012	ეკვადორი	120.00				
18:00	9012	ანგოლა	380.00	18:00	9012	ტრინიდადი	800.00				
18:00	9012	სერბეთი	100.00	18:00	9012	კოსტა რიკა	500.00				
				18:00	9012	ირანი	450.00				

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

ჯგუფი A 9101			ჯგუფი B 9102			ჯგუფი C 9103			ჯგუფი D 9104			ჯგუფი E 9105			ჯგუფი F 9106			ჯგუფი G 9107			ჯგუფი H 9108		
18:00	კოსტა რიკა	15.00	18:00	ინგლისი	1.45	18:00	სერბეთი	9.00	18:00	ანგოლა	12.00	18:00	აშშ	7.00	18:00	ხორვატია	6.20	18:00	საფრანგეთი	1.30	18:00	ესპანეთი	1.50
18:00	გერმანია	1.35	18:00	შვეიცარია	3.10	18:00	არგენტინა	1.95	18:00	ირანი	10.00	18:00	იტალია	1.65	18:00	ავსტრალია	12.00	18:00	შვეიცარია	4.80	18:00	უკრაინა	3.00
18:00	პოლონეთი	4.50	18:00	პარაგვაი	7.00	18:00	ჰოლანდია	2.40	18:00	პორტუგალია	1.80	18:00	ნიხეთი	3.00	18:00	იაპონია	12.00	18:00	კორეა	10.00	18:00	ტუნისი	8.50
18:00	ეკვადორი	9.00	18:00	ტრინიდადი	35.00	18:00	კოტ დიუარი	9.00	18:00	მექსიკა	2.10	18:00	განა	10.00	18:00	ბრაზილია	1.20	18:00	ტოგო	15.00	18:00	საუდის არაბეთი	30.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

მალხაზ ჭეიშვილი და ვეტერანი მორაგბე ლევან ცაბაძე

საქართველო რუმინეთს საფრანგეთში გაშიფრავს

ახლა, როცა რუსეთის მინგრევის შემდეგ ემოციები განელდა და ქართული რაგბის სახლში უკვე მომდევნო მეტოქეზე, რუმინეთზე ფიქრობენ, ორმაგად საინტერესო უნდა იყოს ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელის მალხაზ ჭეიშვილის ანალიზი. რა დადებითი და უარყოფითი დაინახა მწვრთნელის თვალმა რუსეთთან მატჩში და რას ფიქრობს მომავალ მეტოქეზე? სწორედ ამაზე გავესაუბრეთ ჩვენი ნაკრების თავკაცს.

— რუსეთთან ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. თამამად ვიტყვი, რუსებს ერთი თავით ვჯობივართ. ამ მატჩში მიწოლაც იყო, მიყოლაც, გადაყრაც, პასიც... მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომეწონა. ხარვეზები საკმაოდ გვქონდა, ტექნიკური წუნიც იყო. რუსების ლამაზად დამარცხებამ ეს წუნი კი დაფარა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სამუშაო კიდევ ბევრია.

— რა არ მოგეწონათ თქვენი გუნდის თამაშში?

— ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვი. ახლა მხოლოდ ზოგადად შემიძლია საუბარი. თითქმის ყველა ელემენტში გვქონდა ერთი შეხედვით შეუმჩნეველი შეცდომები. ჯერ მატჩის ვიდეოფირი არ გვინახავს. როცა ვნახავთ, უკვე დეტალურად გვეცოდინება, რაზე მოგვიწევს ყურადღების გამახვილება.

— ასეთი თამაში, როგორიც რუსეთთან აჩვენეთ, 25 თებერვალს რუმინეთის დასამარცხებლად საკმარისია?

— არა, რუმინეთი რუსეთზე ათი თავით ძლიერია. სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებ, მაგრამ, რა ვქნა, რეალობაა და ახლაც უნდა ვთქვა. რუმინეთამდე გაცილებით სერიოზული შეკრება გვჭირდება. ორისამი დღით ერთად ყოფნა საკმარისი არაა. თანაც რუსეთთან მატჩის წინ იცით, რა პირობებში ვემზადებოდით...

— როგორც ვიცით, რუმინეთთან მატჩისთვის საფრანგეთში ძოემზადებით...

— დიახ, სამი მორაგბის გარდა, ყველა ლეგიონერია და საფრანგეთში თამაშობს. ამიტომ ბიჭების ერთად შეკრება იქ უფრო მოსახერხებელია, თანაც სავარჯიშოდ ბევრად უკეთესი პირობებია. ორლეანის მახლობლად პატარა ქალაქია, ბლუა. ამ ქალაქის გუნდის მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე ზაზა ლეჟავაა. სწორედ ზაზას დახმარებით მოხდა ფრანგული შეკრების ორგანიზება.

— რუმინეთთანაც ის 22-კაცა შემადგენლობა იქნება, რაც რუსეთთან?

— თუ ტრავმებს გადავურჩით, შემადგენლობას არ შევცვლით. ძირითადიც და სათადარიგოც იგივე იქნება.

— არც პოზიციას შეუცვლით ვინმეს?

— არა, ყველაფერი იგივე დარჩება. მალხაზ ურჯუკაშვილის დაცვის ცენტრში დაყენებამ გაამართლა, ირაკლი მაჩხანელმაც თავისი ფრთა აიკლო და, ვფიქრობთ, ახლა რაიმის შეცვლა გაუმართლებელია.

— რითი უნდა ვაჯობოთ რუმინეთს?

— ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. განსაკუთრებით დაცვაში გვაქვს ხარვეზები გამოსასწორებელი, რასაც ფრანგულ შეკრებაზე ალბათ მოვასწრებთ კიდეც. ის განწყობა, რაც რუსეთთან იყო, არ უნდა განელდეს და არჩეულ ტაქტიკას ბოლომდე გავყვეთ. რუმინეთი წლეულს კიდევ უფრო გაძლიერდა, პეტრე მიტუ დაბრუნდა ნაკრებში. რა ძალაცაა ეს გამთამაშებელი, რაგბის მცოდნეებს არ ესწავლებათ.

— რუმინეთის ნაკრებზე თუ ფლობთ ინფორმაციას?

— ჩვენ მათი შარშანდელი მატჩის ვიდეოფირი გვაქვს, რუმინეთ — ირლანდიის მატჩია. კიდევ მოვიპოვებთ ვიდეომასალას და ბიჭებთან ერთად მეტოქეს შეკრებაზე გავშიფრავთ.

— ისეთი მოსაზრებაც არის, რომ 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპისთვის საქართველოს ნაკრებს ერთა თასზე მე-2 ადგილის დაკავება უჯობს, უფრო იოლ ჯგუფში რომ მოხვდეს.

— მსოფლიოს თასზე გასვლა თუ გინდა, სხვებთან შედარებით ძლიერი მეტოქეც უნდა დაამარცხო. გათვლა-გამოთვისთვის ჩვენ, მწვრთნელებს არ გვცალია. ყველა მატჩისთვის ერთნაირად ვემზადებით. მე ვიცი, რომ გუნდს ერთა თასი უნდა მოვაგებინო და არა მათემატიკური გათვლები ვაკეთო.

ბაჩო სვანიძე

რუსთა მძლეველი ბორჯღალოსნები რუმინეთზეც ამ გუნდით მივლენ

კობრას ნაკბენი

კობა გოგოლაძემ ქამარი დაიბრუნა

„კობრად“ წოდებულმა ქართველმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ თავისი მე-19 პროფესიული ბრძოლა გამართა ამერიკულ რინგზე და მე-18 მოიგო. რაც მთავარია, გოგოლაძემ ჩრდილო ამერიკის კრივის ორგანიზაციის (NABO) ვერსიით საჩემპიონო ქამარი შემოირტყა.

ამ ჯერზე დეტროიტის ფიცარნაგზე ჩვენიანს ამერიკელი ანტონიო დევისი შემოლახა. ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდა და გოგოლაძემ ქულებით მოიგო, სამი რეფერიდან ორმა კობას სასარგებლოდ დათვალა — 114:110, ერთმა კი 112:112 ჩაინიშნა.

— ძალიან მძიმე ბრძოლა იყო გვეუბნება კობა — გამოცდილი მეტოქე მყავდა, მთელი 12 რაუნდი ვიჩხუბეთ, ნაბრძოლევს არაფრის თავი არ მქონდა. სხვათა შორის, სწორედ ამ დევისს გადასცეს საჩემპიონო ქამარი, როცა მე ჩამომართვეს. ასე რომ, ქამარიც დავიბრუნე.

— დევისი რეიტინგში შენზე წინ იდგა?

— ჩვენს ქვემსუბუქ წონაში დევისი ამერიკის მე-4 მოკრივეა, საკმაოდ ძლიერ და გამოცდილ მებრძოლად ითვლება.

— ოქმით თუ ვიმსჯელებთ, საგრძნობი უპირატესობა არ გქონია.

— არა, პირიქით, აშკარად ვჯობდი მეტოქეს, უბრალოდ, რინგის მსაჯმა ორი გაფრთხილება მომცა და 4 ქულა ამიტომ დამაკლეს. მეოთხე რაუნდში ნოკდაუნშიც მყავდა დევისი.

— მომდევნო ბრძოლას როდის გამართავ?

— წესით, ქამარი ყოველ ოთხ თვეში უნდა დავიცვა. მანამდე შესაძლოა, სარეიტინგო ბრძოლა გავმართო. ზუსტად არ ვიცი, მენეჯერებთან ჯერ არ მილაპარაკია, მინდა, კარგად დავისვენო.

ბაჩო სვანიძე

შოთა ხაბარელს შეგირდები ბორჯომში მიჰყავს

ვივპარჯიშოთ ერთად

მსოფლიოს თასების სერიის მორიგი დიდი ტურნირისთვის (პარიზი, 4-5 თებერვალი) საქართველოს ნაკრები ბორჯომში ემზადება. შოთა ხაბარელის გუნდი იქ გუშინ გაემგზავრა იაპონიის, კუბის, საბერძნეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებებთან ერთად. 70-კაციანი დელეგაცია სასტუმრო „ოლიმპში“ დაბინავდა და გუშინვე ერთი ერთობლივი ვარჯიშის ჩატარებაც მოესწრო.

ქართული შემადგენლობა 35-კაციანია და მასში ნაკრების თითქმის ყველა წევრი და კანდიდატია. თბილისში მხოლოდ ტრავმირებული დავით ქევხიშვილი, ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი დარჩნენ.

„ნესტორი თბილისურ ნახევარფინალში მიღებული ტრავმის გამო გამოგვაკლდა — გვითხრა გუშინ ხაბარელმა — თბილისში დარჩა გამოკვლევის ჩასატარებლად და ზუსტი პასუხი ხვალ-ზეგ გვეცოდინება. იმედია, პარიზის ტურნირის შემდეგ საფრანგეთში გასამართი ერთობლივი ვარჯიშებისთვის ბოლომდე გამოჯანმრთელდება.“

ბორჯომული ერთობლივი წვრთნები პარასკევს დასრულდება და ხუთივე მონაწილე ნაკრები პარიზში გაემგზავრება. შოთა ხაბარელს, ცხადია, ფრანგულ სუპერთასზე გასაყვან შვიდეულზეც დავეკითხეთ. წინასწარი სია ძალაშია, არავინ შეგვიცვლიაო, გვიპასუხა.

შაბათ-კვირას ფრანგულ ტატამზე ბეთქილ შუკვანი (60 კგ), სერგო ციხელაშვილი (66 კგ), დავით კუპრაშვილი (73 კგ), ხვიჩა ხუციშვილი (81 კგ), ბესიკ ტყემალაძე (90 კგ), ლევან რაზმაძე (100 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) გავლენ. ტურნირის დასრულებისთანავე პარიზში ახალი ქართული დელეგაცია ჩავა. ნაკრების პირველი ნომრები და ძირითადი კანდიდატები (თითო წონაში ორი ძიუდოისტი) ერთობლივ ვარჯიშებში ჩაერთვებიან.

ოთარ მაღლაკელიძე

გაძარცული კაცი

ეს კაცი, რომელიც მსოფლიოს კორტებზე ბრწყინავდა, დაქროდა და ჩოგანს ძალუმად ახათქუნებდა, ინვალიდის ეტლში ვერაფრით წარმოიდგინა. ორიოდე წლის წინათ ხელჯოხით ვხედავდი, მაგრამ ინვალიდის ეტლი? ეს უკვე მეტისმეტია!

არადა, ჯერ სამოცისაც არაა, მის თვალებში კი ძველებური ცეცხლი კიაფობს და მზერაშიც მებრძოლი სულისკვეთება გამოსჭვივის. საუბრისას თუ ჟესტიკულაციისას ისეთ სიმკვირცხლეს ამჟღავნებს, როგორიც, ვთქვათ, ოცდაათი წლის წინათ ჰქონდა. რომ არა ინვალიდის ეტლი, მის მძიმე ავადმყოფობას კაცი ვერაფრით იფიქრებს, ახლა კი ზის იმ ეტლში თავის უამრავ სპორტულ ნადავლთან ერთად და ძველ ამბებს იხსენებს.

არ მიყვარს ჩემი ჯილდოების გამომზეურება, აქ მხოლოდ ნაწილია, მეუბნება და მის ქალიშვილს ჩემი თხოვნით მამის მიერ მოპოვებული, ჭრელა-ჭრელა ლენტებზე ასხმულ-აჩონჩხლილი ოქრო-ვერცხლი გამოაქვს.

ამ ჯილდოებშია: ევროპის ჩემპიონატში დამსახურებული ექვსი ოქროს მედალი, აქვეა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების თორმეტი ოქროს, რვა ვერცხლისა და სამიც ბრინჯაოს ჯილდო, მსოფლიოს უნივერსიადის აბსოლუტური ჩემპიონობისთვის მიღებული სამივე ოქროს ნადავლი. ამ ჯილდოთაგან ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატების თითო ოქრო ერთიულთა თანრიგში მოიპოვა, დანარჩენი კი წყვილთა და შერეულ წყვილებში. მას ბედმა პრაქტიკულად მეორეობა არგუნა, პირველი კი მისივე თანამემამულე ალექსანდრე მეტრეველი იყო.

თეიმურაზ კაკულია და მისი მონაგარის ნაწილი

და ჩოგბურთის ძველი გულშემატკივარი მიხვდებოდა, რომ ამ და კიდევ უამრავ საერთაშორისო ტურნირში დამსახურებული ჯილდოების მფლობელი, ეს ინვალიდის ეტლიანი კაცი თეიმურაზ კაკულიაა.

იმ დღეს საბჭოთა კავშირის მეორე ჩოგანთან საუბრისას ავსტრალიის ღია პირველობიდან კვიპროსელ მარკოს ბალდატისთან მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ჩოგბურთელის როჯერ ფედერერის ფინალური მატჩის ტელეტრანსლაციას გადმოსცემდნენ.

— ბული მტკივა, ბალდატისს რომ ვუყურებ — მეუბნება თეიმურაზ კაკულია — ხომ შეიძლებოდა, მის ადგილზე ვინმე ქართველი ყოფილიყო. თუნდაც ლადო ჩიხლაძე. ლადოს მე ვავარჯიშებდი და დიდი იმედებიც მქონდა. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა რომ იყო, ბალდატისს ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ მაგრადაც მოუგო. მერე ლადოს სპონსორი გამოუჩნდა და უცხოეთს მიაშურა, იქ კი, ეტყობა, კარგ მწვრთნელთან ველარ მოხვდა...

ეს რომ მითხრა, გამახსენდა მოსკოვში გამოცემული დიდი საჩოგბურთო ენციკლოპედია. მასში მხოლოდ სამი ქართული გვარია: ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია და ლეილა მესხი.

ლეილა მესხს სწორედ თეიმურაზ კაკულია ავარჯიშებდა. კაკულია ავარჯიშებდა 80-90-იანი წლების ქართული ჩოგბურთის ლიდერებს ვლადიმერ გაბრიჩიძეს, დავით კაჭარავას ბევრ სხვასაც, მერე კი ეს კაცი რატომღაც ითვალწუნეს, სამაგიეროდ მას მწვრთნელობას სთხოვდა ეკვენი კაფელნიკოვი. მასთან საკარჯიშოდ ბოლო დრომდე ჩამოდიოდნენ რუსეთისა და უკრაინის ჩოგბურთელები, რომელთა დასაოსტატებლადაც კაკულია ჯერ სალ-სალამთი მიდიოდა კორტებზე, მერე ხელჯოხით, ბოლოს კი ინვალიდის ეტლითაც...

— აქტიურ სპორტს რომ გამოვეთხოვე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. ეს ინსტიტუტი სამთო ელექტრო ინჟინრის სპეციალობით დავამთავრე და მერე დისერტაციაზეც ვმუშაობდი. სწორედ მაშინ შემომთავაზეს საჩოგბურთო სპორტსკოლის დირექტორობა. კორტებს მწვრთნელადაც დავუბრუნდი. მაშინ მეგონა, როგორც ჩოგბურთელს, ჩოგბურთისა რაღაც გამეგება-მეთქი და ბავშვების აღზრდას ხელი მოვკიდე. თურმე არაფერიც არ მცოდნია. ერთია სპორტსმენობა და სულ სხვა მწვრთნელობა. ამიტომაც თვითგანთლებას მივყავი ხელი, უამრავ ლიტერატურას გავეცანი. აქეთ ანატომიაო, იქეთ ფსიქოლოგიაო და კიდევ ათასი რამ... რაც მეტს ვკითხულობდი, უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მწვრთნელის პოზიციიდან ჩოგბურთი არ ვიცოდი...

სამწვრთნელო და საქართველოში ჩოგბურთის განვითარების პრობლემებზე კიდე ბევრი მესაუბრა, მაგრამ რაკი ახლა მკითხველისთვის მისი კორტებზე გადახდენილი ბრძოლების გახსენებას ვაპირებ, საუბრის საინტერვიუო რელსებზე გადაყვანას ვცდილობ.

— ხშირად გახსენდება ის ბრძოლები?

— ზოგჯერ მახსენდება, ოღონდ... სიზმარში.

— მაინც, რომელი?

— წაგებები. კოშმარები მტანჯავს და როცა მელვიძება, მიხარია, რომ სიზმარი ყოფილა. კიდევ კარგი, ასეთ სიზმრებს იშვიათად ვხედავ.

— ცხადში რაღა გახსენდება?

— პირად გამარჯვებაზე მეტად გუნდურ პირველობაში წარმატება უფრო მახარებდა და ამიტომ ასეთი ბრძოლების გახსენება უფრო მსიამოვნებს. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ გადამწყვეტი შეხვედრების ჩატარება მიწევდა და ასეთ პრინციპულ ბრძოლას თითქმის მუდამ ვიგებდი, განსაკუთრებით დევისის თასზე...

დევისის თასზე საბჭოთა ნაკრებს თუკი რაიმე წარმატებისთვის მიუღწევია, ეს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თეიმურაზ კაკულიასა და ალექსანდრე მეტრეველის დამსახურება იყო. ისინი ორჯერ, სულ ცოტა, დევისის თასის ფინალისტები უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ ორივეჯერ საქმეში საბჭოთა პოლიტიკა ჩაერია. ჯერ იყო 1974 წელს საბჭოთა ნაკრებს, რომელიც ქართველთა წყალობით თასის ფავორიტად ითვლებოდა, ნახევარფინალში ინდოეთთან შეხვედრა დაათმობინეს, რათა მერე ფინალში კომუნისტების დაუძინებელ მტერ პინოჩეტის ჩილეს გუნდს არ შეხვედროდა (მაშინ ინდოელები, ცხადია, უბრძოლველად გაიდნენ ფინალში, იქ კი მათ საბჭოელებს მხარი აუბეს და ახლა მათ თქვეს უარი აპარტეიდულ სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრაზე, რომელიც მაშინ პირველად დაეუფლა თასს).

მსგავსი ისტორია განმეორდა 1976 წელსაც, როდესაც საბჭოთა ნაკრებს ჩილელებთან ნახევარფინალურ შეხვედრაზე ათქმევინეს უარი და იმ წელიწადს დევისის თასს პირველად ახლა უკვე იტალიელებმა გაუგეს გემი.

— იტალიელებს, ალბათ, ასეთი გამარჯვება დიდად არ ახარებდათ, რადგან უპირველეს ფავორიტებად ჩვენ გვთვლიდნენ — იხსენებს კაკულია — ამიტომ 1998 წელს ჩვენთან მოვიდა იტალიელთა გუნდის სახელგანთქმული კაპიტანი ნიკოლა პეტრანჯელი და შემოგვთავაზა, მოდით, იმდროინდელი შემადგენლობებით გნებავთ თბილისში, გნებავთ რომში ან სხვაგან დაგვიანებული ფინალი გავითამაშოთო. სამწუხაროდ, იმ დროს მე უკვე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მაწუხებდა და ამიტომ ასეთი ბრძოლების გახსენება უფრო მსიამოვნებს.

თეიმურაზ კაკულია, მართალია, ამბობს, ყველაზე კარგად გუნდური გამარჯვებები მახსენდებაო, მაგრამ ვატყობ, თავის უამრავი მედლებიდან, ვეება ბრილის თასებიდან და სხვა მისთანებიდან მაინც ერთ, შედარებით მომცრო სასალათეს გამოარჩევს.

ეს სასალათე 1978 წელს უიმბლდონის ტურნირზე დაიმსახურა. მაშინ ამ ტურნირზე თავისებური დამამშვიდებელი მეორე ტურნირიც ეწყობოდა, დახლოებით ისეთი, როგორიც, ვთქვათ, ძიუდოშია. უიმბლდონზე I, II, III წრეში დამარცხებული ჩოგბურთელები თავიდან იწყებდნენ ბრძოლას და, აი, კაკულიამ სწორედ ასეთი ტურნირი მოიგო და ის ვერცხლის სასალათეც.

ამასობაში, ვიდრე ყოველივე ამას ვიხსენებთ, ფედერერ — ბალდატისის ფინალური ბრძოლაც გასრულდა და ვხედავთ, როგორ აჯილდოებს მათ სახელგანთქმული ავსტრალიელი ვეტერანი როდ ლეივერი.

— მაგარი ვინმე იყო ეს ლეივერი. ჯერ 60-იანი წლების დასაწყისში, მერე კი დასასრულს ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო. სხვათა შორის, ლეივერს 1977 წელს მოუგე. მაშინ ახლანდელი მასტერსის ანალოგიური ტურნირები ეწყობოდა. სეზონის შედეგების მიხედვით რვა უძლიერესი ჩოგბურთელი პირველობისთვის ეკილებოდა ერთმანეთს. აი, სწორედ ასეთ ტურნირზე მოუგე ლეივერსს.

ეს რომ მითხრა კაკულიამ, გამომცდელად გადმომხედა, მერე კი ჩაეცინა და... თუმცა, მანამდე მასთან ორჯერ დავმარცხდი.

მერე სასხვათაშორისოდ დასძინა, ლეივერი მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი იყო, ვინც საპრიზო თანხა მილიონ დოლარზე მეტი მიიღო. ეს რომ გაიხსენა, „შეძხვედრი“ კითხვისთვის, როგორც იტყვიან, მშვენიერი „ტოპკა“ ამიწია.

— თუ საიდუმლო არაა, თქვენი საჩოგბურთო შემოსავალი როგორილა იყო?

— ხუმრობთ? აბა, ჩვენ ვინ რას გვაძლევდა? რაღაცამე წლის წინათ საბჭოთა ნაკრების ყოფილმა და რუსთა ახლანდელმა კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა მითხრა, მეტრეველმა რომ გაიგოს, თავის დროზე პრემიალური რამდენი ეკუთვნოდა, გული გაუსკდებოდაო. ჩვენ ხომ მოყვარულები ვიყავით და ჩვენი პრემიალური სულ საბჭოთა ბიუჯეტში მიდიოდა. ეგ კი არა, უცხოეთში დღეში სულ რაღაც 12 დოლარს გვაძლევდნენ, რაც კვებისთვისაც უნდა გვემყოფინა, ტრანსპორტისთვისაც და სასტუმროსთვისაც. სასტუმროს ფული რომ როგორმე შეგვეკოწიწებინა, ყველაზე იაფიანს ვიღებდით და მთელი გუნდი ერთ ოთახში ვიყავით შეხიზნული. ზოგს იატაკზე ეძინა, ზოგს სავარძელში... და ეს მაშინ, როცა ჩვენი მეტოქეები საუკეთესო სასტუმროებში 300 დოლარიან ნომრებში ცხოვრობდნენ. ზოგიერთ ტურნირზე სარბიელის რესტორანში ჩოგბურთელებითვის უფასო კვება იყო და დამშეულები იქ მუცლებს ისე ვიყორავდით, კორტზე მოძრაობა აღარ შეგვეძლო. ნავრატილოვა, ბორგი და სხვა ვარსკვლავები გაკვირვებულები გვიყურებდნენ და თავად იმ რესტორანში ბევრი-ბევრი რაიმე სალათას თუ გაციცქნიდნენ ხოლმე. ჩვენი ფინანსური მდგომარეობა შედარებით ბოლოს გამოსწორდა, როცა მეც და მეტრეველიც კარიერას ვასრულებდით.

— ყოველივე ეს რომ გადაგეტანათ, მართლაც ძალიან უნდა გყვარებოდათ ჩოგბურთი...

— წარმოიდგინეთ, ფეხბურთი უფრო მიყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთსა და ჩოგბურთს შორის არჩევანი მიჭირდა. ეზოს ფეხბურთს ისე კარგად ვთამაშობდი, რომ მწვრთნელები დიდხანს ჩამჩიჩინებდნენ, ჩვენთან წამოდი, ივარჯიშე, კარგი ფეხბურთელი დადგებიო, მაგრამ რაკი პლეხანოვის 117-ში ვცხოვრობდი და ეზოში „განთიადის“ კორტები გვქონდა, ჩოგბურთს უფრო ხშირად ვთამაშობდი. თუმცა, შინ ერთსაც მიშლიდნენ და მეორესაც, უფრო კი ფეხბურთს, ფეხს მოიტეხავო. მშობლები სულ სამსახურში იყვნენ, შინ კი ჩემს მეცნიერ დეიდებთან ვიყავი. იმათ სპორტი სულ არ აინტერესებდათ, მაგრამ ნონა ვაფრინდაშვილი რომ პირველად შეამკეს მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინით და მისი ფოტოებით გაზეთები აჭრელდა, დეიდები სპორტით ისე დაინტერესდნენ, რომ გაზეთები თავად მოჰქონდათ ჩემთან და აღარც თამაშს მიშლიდნენ. ჩვენს ეზოში ცხოვრობდა ცნობილი მწვრთნელი ვლადიმირ სერებრენიკოვი და სწორედ მან მაზიარა ამ თამაშს, თუმცა ბული ისევ ფეხბურთისკენ მიმიწევდა. ერთხელაც ჩოგბურთში საქალაქო პირველობაზე რომ ვთამაშობდი, მორიგ ტურს თბილისში ჩვენი „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ მატჩი დაემთხვა. ხომ გახსოვთ, ამ გუნდების შეხვედრას მუდამ დიდი აჟიოტაჟი უძღოდა და გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. ჰოდა, 13-14 წლის ბიჭს შინ რა გამაჩერებდა, უფრო სწორედ, კორტებზე ვიფიქრე, სათამაშოდ რომ არ გამოვცხადდები, ჩემს შეხვედრას გადიტანენ-მეთქი და ამ იმედით სტადიონზე გავვარდი, ეს ყველაფერი კი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

1975 წელი: თეიმურაზ კაკულია და ალექსანდრე მეტრეველი ტალინში

ჩემი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დამთავრდა.

— წყვილებში თუ შერეულ წყვილებში ბევრთან გითამაშია. მაინც, ყველაზე მეტად რომელთან გერჩიენათ „ერთ თოკში“ ჩაბმა?

— რა თქმა უნდა, მეტრეველთან. მასთან წყვილში თამაში ერთი სიამოვნება იყო. კარგ კომბინაციებს ხლართავდა, ოღონდაც, თუ რაიმე არ გამოსდიოდა, სულ მე ვიყავი დამნაშავე, ან კორტი თუ მსაჯი. ერთხელ ამერიკაში დარბაზში ვთამაშობდით. რაღაც თამაში ვერ აეწყო, მომიბრუნდა და ამიჭიჭყინდა. რომ გავაგებინე მე არაფერ შუაში ვიყავი, ახლა ხელები გაშალა, ეს რა კორტია, ბურთს ისე არ ისხლიტავსო. მერე მსაჯს აუხირდა და ამ ყოველივეზე ტრიბუნები ახარხარდა. იმ ტურნირზე ნაირგვარი სახუმარო პრიზები იყო დაწესებული. ერთი, მაგალითად, ლუდის ყველაზე მაგარი მსმელისთვის იყო განკუთვნილი. ეს პრიზი სახელგანთქმულმა რიი ემერსონმა მიიღო, პრიზი კი მაისურა იყო, რომელზეც ვეება ლუდის კათხა გამოესახათ. იმ ლუდის კათხიდან ემერსონის თავი იყო ამოყოფილი. ჰოდა, ამ ტურნირზე დაწესებული იყო ხელჯოხი ყველაზე შარიანი, ჭიჭყინა თუ ჭირვეული ჩოგბურთელისთვის. ეს პრიზი მეტრეველს მიაკუთვნეს. პრიზების გადაცემის ცერემონიალამდე მეტრეველი სხვა ტურნირზე გაემგზავრა და იმ ხელჯოხს მე მაძლევდნენ, შენს მეგობარს ჩაუტანეო. რომ წამომეღო, მეტრეველი იმ ჯოხით გამომიდგებოდა, მაგრამ, რომ მცოდნოდა, ის ხელჯოხი ახლა მე თავად გამომადგებოდა, უთუოდ ჩემთვის წამოვიღებდი.

ეს ყველაფერი იუმორითა და სიცილით მიამბო კაკულიამ.

თუმცა, ახლა სასაცილოდ ნამდვილად აღარ აქვს საქმე.

— შეიძლება ითქვას, რომ აქამდე შამილ ტარპიშჩევმა მომიყვანა. მანამ ინვალიდის ეტლს მივეჯაჭვებოდი, ტარპიშჩევს თავისი ხარჯით მოსკოვში ჩავყავდი. მისივე ხარჯებით სასტუმროს 300-400 დოლარიან ნომერში ვცხოვრობდი და იქვე სამკურნალო ხარჯებსაც მიხდიდა. მეხმარებოდნენ მოსკოველი ქართველი ბიზნესმენები ანზორ კიკალიშვილი და კონსტანტინე გოგელია, მაგრამ ახლა იქ ჩასვლა აღარ შემიძლია და უკვე ნახევარი წელიწადია, ნემსი აღარ გამიკეთებია. არადა, თვეში ერთი ნემსი მინდა, რომელიც 1000 დოლარი ღირს. რომ აღარაფერი ვთქვა ორივე ფეხის ოპერაციაზე და კიდევ ისეთივე ერთ ნემსზე, რომელიც მხოლოდ ინგლისშია და იმასაც მკაცრად გასცემენ.

— კი მაგრამ, მოსკოველები რომ არ დაგხმარებოდნენ, აქ აღარავინ გამოჩნდა?

— აქ ასეთი თოფაძეა, ვინც ერთხელ დამეხმარა...

ყოველივე ამას რომ მიამბობს, ალბათ ის ათასობით პრემიალური ახსენდება, რომელსაც მეტრეველთან ერთად იმკიდა და მერე საბჭოეთი ეკიბავდა.

„თავის დროზე“ გაძარცულმა ამ კაცმა გამომშვიდობებისას თავისი ეტლით კარებამდე გამომაცილა, შინისკენ მიმავალმა კი ვიფიქრე, კაკულიას ვინმე ამ ეტლისგან რომ გაათავისუფლებდეს, ალბათ ათასობით და იქნებ მილიონობით დოლარის მომტანი „მანქანის“ გაზრდა კიდევ შესძლოს-მეთქი.

ავთანდილ გურასაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

1975 წელი: თეიმურაზ კაკულია ტალინის „კალევის“ კორტებზე

handball euro 06 26 jan - 5 feb

ევროპის VII ჩემპიონატი

ვაშლბი. შვეიცარია. 26 იანვარი — 5 თებერვალი

ევროხელბურთი ფრანგულად ალაპარაკდა

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟ ფრანგ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია (1995, 2001), აგრეთვე ერთხელ ვერცხლის და სამჯერ ბრინჯაოს პრიზიორიც, ევროტურნირებზე არათუ პირველობა, „მამლებისთვის“ მედლის მოპოვებაც კი აქამდე მიუწვდომელ ზღუდედ რჩებოდა. საუკეთესო შედეგი 2000 წლის მეოთხე ადგილი იყო.

ასეთი ხელმოცარვის შემდეგ, როგორც იქნა, ნავსი გატყდა და კვირას შვეიცარიაში დასრულებულ კონტინენტის ფორუმზე ფრანგებმა ფინალშიც დამაჯერებლად გააღწიეს და გადამწყვეტ მატჩშიც წარმატების მისხალი შანსი არ დაუტოვეს მრისხანე მეტოქეს, თვით მსოფლიოს ტრიუმფატორ ესპანეთს.

წინასწარ ჯგუფურ ეტაპზე სწორედ პირინეელებთან ერთადერთი მარცხის (26:29) საპასუხოდ, „მამლებმა“ ისეთი ზედამაჯერებელი რევანში აიღეს, რომ ფინალურ შეხვედრაში რვაბურთიანი მოგება (31:23) ლამის სარეკორდოა ევროპირველობებისთვის. უფრო ხმაურიანი სხვაობა აღინიშნა პირველ, 1994 წლის ფინალში, როცა შვედებმა რუსები გაანადგურეს — 34:21.

ერთი სიტყვით, ახალმა ტრიუმფატორებმა შვეიცარიაში შვიდი თამაში მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

საფრანგეთის ყველა მატჩი:

სლოვაკეთი	**35:21**
ესპანეთი	**26:29**
გერმანია	**27:25**
სლოვენია	**34:30**
პოლონეთი	**31:21**
უკრაინა	**30:20**
ხორვატია	**29:23**
ესპანეთი	**31:23**

ბურთების შეფარდებაა 243:192. ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავს 255-ჯერ გამტან ესპანეთს, ყველაზე შეუვალი დაცვა — ჩემპიონ საფრანგეთს.

ფრანგებმა შვეიცარიაში ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს:

იონ პლოკუინი (27 წლის, თამაშობს „ტულუზში“), ტიერი ომაიერი (29, „მონპელიე“), ჟერომ ფერნანდესი (28, გაიტანა 32 გოლი, „ბარსელონა“), დიდიე დინარი (29, ესპანეთის „სიუდად რეალი“), ჟოფრი კრანცი (24, მონპელიე“), გიიომ ჟილი (29; „ჰამბურგი“), ბერტრან ჟილი (27, „ჰამბურგი“), დანიელ ნარცისი (26, გერმანიის „გუმერსბახი“), ოლივიე ჟირო (33, „პარიზი“), ნიკოლა კარაბატიჩი (21, 40, გერმანიის „კილი“), კრისტოფ კემპი (30, „ტულუზი“), ჟოელ აბატი (35, 32, გერმანიის „მაგდებურგი“), ლუკ აბალო (21, 23, „ივრი“), მიშელ გიგუ (24, 27, „მონპელიე“), სებასტიენ ბოსკე (27, „დუნკერკი“).

ცხადია, შედგა ყველა ვარსკვლავთა შესანიშნავი შვიდეული, რომელშიც ახალ ჩემპიონთა მეკარე ტიერი ომეიერის გარდა შეეიდნენ რუსი ედუარდ კოკშაროვი (30 წლის, სლოვენიის „პივოვარნა ლაშკო“), ხორვატი ივანო ბალიჩი (26, ესპანეთის „პორტლენდ სან ანტონიო“), ისლანდიელი ოლაფურ სტეფანსონი (32, „სიუდად რეალი“), დანიელი სორენ სტრიგერი (31, „ფლენსბურგ ჰანდევიტი“) და ორი ესპანელი, იკერ რომერო (25, „ბარსელონა“) და როლანდო ურიოსი (35, „სიუდად რეალი“).

ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს ივანო ბალიჩი. სხვათა შორის, ხორვატი გამთამაშებელი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატშიც საუკეთესო იყო.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ, სლოვენიელ სერგეი რუტენკასთვის რჩეულთა შვიდეულში ადგილი არ აღმოჩნდა. 24 წლის ექსბელარუსმა, რომელიც ამჟამად ესპანური „სიუდად რეალის“ ღირსებას იცავს, ექვს მატჩში 51 გოლი გაიტანა. ესპანელი ალბერტ როკასი მას ექვსი ბურთით ჩამორჩა. ხუთეულში არიან კოკშაროვი (44), ბალიჩი (43) და ირლანდიელი სნორი გუდიონსონი (42).

რაგინდ პარადოქსულიც უნდა ჩანდეს, მეკარეთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ომეიერის სათადარიგო თანაგუნდელ პლოკუინსს, რომელმაც 61 ტყორცნიდან 28 მოიგერია (46 პროცენტი). ომეიერი თავისი 38 პროცენტით მესამეა, ოღონდ, ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ იგი გაცილებით მეტ ხანს იდგა თავისიანების კარის სადარაჯოზე და 258 ნასროლიდან 99 არ გაუშვა.

მაშ ასე, „ბებერ კონტინენტს“ ორი წლით ახალი, რიგით მეოთხე ჩემპიონი ჰყავს. მანამდე ტიტულს ოთხჯერ ფლობდნენ შვედები, თითოჯერ — რუსი და გერმანელი ხელბურთელები. ესპანელებმა სამჯერ მიაღწიეს ფინალამდე და სამჯერვე დამარცხდნენ. დანიელებმა კი ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები.

გია ახალაძე

AFP ფოტოსტიდან

ევროჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე ივანო ბალიჩი

AFP ფოტოსტიდან

ფრანგმა ხელბურთელებმა ევროპა პირველად დაიპყრეს

საქართველოს ჩემპიონატი

პროფესორები ჩქარა!

საქართველოს ჩემპიონატი სტუდენტობის ასაკიდან გამოვიდა

დავით მურჯიკნელს და მის სტუ-ს თსუ-მ გასაჭანი არ მისცა

ფოტო ალექსანდრე ბერიშვილის

ორმოცდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ საქართველოს ერონული ჩემპიონატი განახლდა. მესამე წრის საწყის ტურში, ჩვეულებრივ, ოთხი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში ხომ ყველაფერი ისე არ ხდება ხოლმე, როგორც იგეგმება და რუსთავში გასამართი მატჩიც გადაიდო.

მიზეზი არახალია: ქუთაისელები ქვემო ქართლში ვერ ჩავიდნენ, იმერლები ფინანსებთან ისევ მწყრალად არიან. ხოლო მათ, ვისაც მატერიალური პრობლემები არ აქვთ, გუშინ იოლი გამარჯვებები მიითვალეს.

ქართულ კალათბურთში ოდესღაც იყო მოვლენა, რომელსაც „სტუდენტური დერბი" ერქვა და რომლის სანახავადაც პროფესორ-მასწავლებლებს ზოგჯერ ლექციებიც გადაუდიათ.

ბოლო წლებში „სტუდენტური დერბი" ნელ-ნელა გაუფერულდა, ძველი ეშხი და ინტერესი დაკარგა, რაც ბუნებრივი იყო — ტექნიკური უნივერსიტეტელები იოლად ჯაბნიდნენ „სახელმწიფოელებს". სტუ-მ კომპანია „ჯეოსელის" მხარდაჭერით ისეთი გუნდი შექმნა, თსუ-ს კი არა, ყველა ლიდერს სისხლს უშრობდა, თუმცა დრონი მეფობენ და არა მეფენიო, ხომ გაგიგონიათ და, დღეს თსუ-ს ჰყავს ჯიბესქელი სპონსორი.

ჩემპიონატში ჯერაც წაუგებელმა „თსუ-ნიკორამ" გუშინაც დაჯაბნა „ჯესელისგან" მიტოვებული სტუ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მამუკა ტურაშვილის გუნდი ჯერ თავს არ იწუხებდა და როცა მოისურვა, მაშინ მოიპოვა გარდამტეხი უპირატესობა.

ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა ამ მატჩს, მაგრამ თსუ-ს იმდენი ტოლძალოვანი მოთამაშე ჰყავს, რომ დისკვალიფიცირებული ბესიკ ლეჟავსა და ირაკლი საყვარელიძის არყოფნამ დავთრები ვერ აურია. მართალია, სტუ-მ ერთხანს ლიდერობა მოიპოვა და ლამის ათი ქულითაც გასცდა მეტოქეს, მაგრამ თსუ-ელებმა შორ სროლებს მიჰყვეს ხელი და ტექნიკოსებს კალათი ამოუვსეს.

სტუ-მ უპირატესობას მაშინ მიაღწია, როცა ფარზე ჩაუქად მოთამაშე რიჩარდ მათიაშვლსა და დავით მურჯიკნელს ტექნიკოსთა უკანახაზელებიც წამოეშველნენ კონტრშეტევებით. ეს მეორე მეოთხედში მოხდა — 34:26 ტექნიკოსთა სასარგებლოდ.

ტურაშვილის შეგირდები თავიდანვე ფარზე არ შეებრძოლნენ მეტოქეს, ჯერ შორი სამიზნე მოსინჯეს და გაუმართლათ კიდეც. ირაკლი ბერიშვილმა, საფრანგეთიდან დაბრუნებულმა რევაზ დიდიამ და ირაკლი მაისურაძემ (ორჯერ) საჭირო სამქულიანები ჩააჭედეს სტუ-ს კალათში და დიდი შესვენებისთვის უკვე თსუ იგებდა — 47:42.

თამაში და თსუ-ელთა ზალპი ერთდროულად განახლდა. შორი სამიზნე ლაშა კეშელავამ და მიშა ფანჩულიძემაც გამართეს და მესამე მეოთხედის შუაწელში სტუ გვარიანად, 46:63 ჩამორჩა მეტოქეს. ტურაშვილის ბიჭებმა ტექნიკოსებს ლახვარი ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე კვლავ სამქულიანებით ჩასცეს — 76:53.

ათ წუთში 23 ქულის გაბათილება შესაძლებელია, მაგრამ არა ისეთი გუნდისთვის, როგორიც დღევანდელი სტუ-ა. ნიკორელებმა ბოლოსკენ ყურადღება მოადუნეს, მეტოქე 9 ქულითაც მიიახლოვეს, მაგრამ თამაშის სცენარი მათ ამის საშუალებას აძლევდა და გამარჯვებამდეც ღიღინ-ღიღინით მივიდნენ.

კიდევ უფრო იოლად იმარჯვა ჩემპიონატში თსუ-ს მდევარმა „ავიამშენმა". ლევან მოსეშვილის შეგირდებს არცთუ სუსტი, შეიძლება ითქვას, უხერხული მეტოქეც კი ჰყავდათ. თბილისის „დინამომ" ავიატორებს ამ სეზონის პირველი მატჩი ლამის მოუგო, ბოლო წამებზე, დაძაბულ ფინალში დამარცხდა და არც მეორე წრის შეხვედრაში შეურცხვენია თავი. ამის გათვალისწინებით, გუშინდელ მატჩშიც საინტერესო ბრძოლას ველოდით, მაგრამ არ გაამართლა. „ავიამშენმა", ასე ვთქვათ, ვარჯიშ-ვარჯიშ, ხელის ერთი გაქნევით დაჩოქა „დინამო".

ასევე იოლად იმარჯვა „მაკაბიმ", რომელიც თავისი კალიბრის სსუ-ს ხვდებოდა. ჯამლეტ ხუხაშვილის მთავარი ფავორიტი და იმედი, 215-სანტიმეტრიანი გიორგი შერმადინი, წელკავის გამო მოედანზე არ გამოსულა, თუმცა მაკაბელებმა მაინც იოლად დაძლიეს სოხუმელთა წინააღმდეგობა და 96:64 გაიმარჯვეს.

ირაკლი პერტაია

6 თებერვალი. ვერის ბაღი

თსუ-ნიკორა 92:85 სტუ
21:26 26:16 29:11 16:32

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (18), ი. მაისურაძე (15), ფანჩულიძე (17), ტყეშელაშვილი (8), მუშკუდიანი (6); დიდია (7), კეშელავა (6), ვეფხვაძე (2), სანიკიძე (6), მ. ბერიშვილი (3), ბერაია (4)

სტუ: კოხრეიძე (4), მიქაძე (14), ი. შანიძე (20), მურჯიკნელი (16), მათიაშვილი (19); ნინუა (8), ლოსაბერიძე (3), ახალკაცი (1), კეიდია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ავიამშენი 95:68 დინამო
24:14 28:15 17:22 26:17

ავიამშენი: ბ. ბერიშვილი (13), ი. ხოშტარია (18), მარკოიშვილი (12), მინაშვილი (5), ბ. ნოზაძე (12); ნინიაშვილი (16), წოწელია (9), მოსეშვილი (8), ბექაური (2), ორმოცაძე

დინამო: გულისაბედაშვილი (7), ბადრიძე (3), ლაფანაშვილი (5), დერიუგინი (5), სუხიშვილი (14); ვ. მაისურაძე (17), ძიძიგური (8), წივწივაძე (6), დევიძე (3), სიგუა

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

მაკაბი 96:64 სსუ
24:11 26:18 26:14 20:21

მაკაბი: გ. დოლიძე (15), კორკოტაძე (20), აბულაძე (19), ვაშაკიძე (17), ს. შერმადინი (7); აკოლაშვილი (8), ი. დოლიძე (4), მერებაშვილი (4), ფიცხელაური (2), ენუქიძე

სსუ: პატარაია (7), ჯიქია (12), კოხრეიძე, კორძაძე (7), ქვილითაია (9); მახარაძე (7), ონიკაშვილი (10), რობიტაშვილი (2), მ. ხოშტარია (10), ცერცვაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკის მეცამეტე

ხალხმა ვარსკვლავები ამოკრიფა

ოლსტარმატჩამდე ორიოდ კვირა რჩება და თანდათან ამ ვარსკვლავური შოუს მონაწილეებიც ირკვევიან. ამ უქმეებზე ხალხმა საინტერნეტო გამოკითხვით გამოავლინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამწყები ხუთეულები.

აღმოსავლელებში თავისთავად მოხვდა ცოტა ასაკშეპარული, მაგრამ ამის მიუხედავადაც ნბა-ს უძლიერესი ცენტრი შაკილ ონილი, ვისთვისაც ეს ვარსკვლავმატჩი მე-13 იქნება. ამ მხრივ მას არც ტოლი ჰყავს და არც სწორი ამ ხუთეულებში კი არა, საზოგადოდ მოქმედ კალათბურთელებში. დევშაკთან ერთადაა მისი უმცროსი თანაგუნდელი და დოსტი დუეინ ვეიდი. მათ მხარდამხარ 19 თებერვალს ჰიუსტონურ ფიცარნაგზე თავიდანვე გავლენ ლიგის მეორე-მესამე ბომბარდირები ალენ აივერსონი და ლებრონ ჯეიმსი. ხუთეულის მეხუთე წევრად ხალხმა ინდიანელი ფორვარდი ჯერმენ ონილი აირჩია, მაგრამ ჰიუსტონში მისი თამაში სათუოა. ჯერმენს გრძელვადიანი იძულებითი შესვენება გამოუწერა ტრავმამ და სავარაუდოდ მას ტორონტოელი კრის ბოში ან დეტროიტელი რაშიდ ვოლესი შეცვლის.

დიდრონი ვარსკვლავები მოხვდნენ დასავლეთის ხუთეულშიც. ნბა-ს პირველმექულე კობი ბრაიანტი შარშანდელი რეგულარული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე სტივ ნეში, ორგზის უძვირფასესი ტიმ დანკანი და ორიც ტრავმებგაჯერებული ჰიუსტონელი — ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი. თუმცა ამათი „ჰიუსტონი" ახლა ცხრილის ფსკრზე დახოხავს, მაკმა და იაომ მაინც გვარიანი ხმები დააგროვეს. ამ უკანასკნელმა ხმების ოდენობით ყველას გადაუსწრო, აღმოსავლელებშიც და დასავლელებშიც.

7-7 სათადარიგოს კი უკვე ნბა-ს 30 გუნდის 30 თავკაცის გამოკითხვა გამოავლინეს 9 თებერვალს.

აღმოსავლეთი	დასავლეთი
ალენ აივერსონი (ფილადელფია, 7)	სტივ ნეში (ფინიქსი, 4)
დუეინ ვეიდი (მაიამი, 2)	კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 8)
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი, 2)	ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი, 6)
ჯერმენ ონილი (ინდიანა, 5)	ტიმ დანკანი (სან ანტონიო, 8)
შაკილ ონილი (მაიამი, 13)	იაო მინი (ჰიუსტონი, 4)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

ტორონტო 113:115 კლიპერსი

ძირითადი დრო 101:101

ტორონტო: ბოში (29 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), პიტერსონი (25), ჯეიმსი (20)
კლიპერსი: ბრენდი (30), კასელი (27 ქულა, 13 პასი), მობლი (20)

საკრამენტო 96:78 იუტა
საკრამენტო: ბიბი (23), მარტინი (20)
იუტა: ოქური (25)

ნიუ იორკი 89:93 ჰიუსტონი
ნიუ იორკი: კროუფორდი (24)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23), მინი (15)

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

მონრეალი 5:0 ფილადელფია
1:0 1:0 3:0

1:0 რაიდერი (12), 2:0 ბულისი (31), 3:0 რაიდერი (41), 4:0 სურეი (47), 5:0 რაიდერი (57)

ბოსტონი 3:4 კაროლინა
3:4 1:0 1:2 1:1 0:0 0:1
ბულიტების სერიაში

1:0 ტანაბე (10), 1:1 უესლი (32), 2:1 ბოიზი (35), 2:2 კოული (36), 2:3 სტაალი (44), 3:3 სტიუარტმ (58), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: უეიტი

ტურინული ამბავ-ხაბარი

მომავალი იტალია აწმყოში

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალების პროდიუსერმა მარკო ბალიჩიმ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ თამაშების გახსნაზე მაყურებელი მეტად შთამბეჭდავ შოუს იხილავს, რისთვისაც უახლეს ტექნოლოგიას გამოიყენებთო. დახურვის ცერემონიალზე ნოსტალგიური კარნავალი მოეწყობა პოპულარული იტალიური პერსონაჟების მონაწილეობით, რაც ტრადიციული დელ არტეს კომედიების „სტილში“ აისახება.

მარკო ბალიჩიმ ისიც თქვა, რომ გახსნის ცერემონიალზე ვეცდებით ვაჩვენოთ მომავალი იტალია — ენერგიული, ენებიანი... ხოლო დახურვის ცერემონიალზე უფრო დომინანტური იქნება მელანქოლია, რამდენადმე სენტიმენტალიზმი, რაკილა თამაშები დასრულებული იქნება და განშორების ჟამიც მოახლოებულიო.

ჩვეულებრივ, ოლიმპიური თამაშების მასპინძლები ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალის საინტერესო დეტალები, მაგრამ ჟურანლისტებმა მაინც გამოჩხრიკეს რამდენიმე საინტერესო დეტალი და მათ ფარდაც ახადეს.

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ცერემონიალზე, რომელიც 10 თებერვალს გაიმართება, იტალიის ეროვნული დროშა „ცოცხალი“ იქნება.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ იტალიის დროშა იქნება არა გრძელი და ფართო ტილო, არამედ იგი „მოიქსოვება“ ცნობილი ათლეტებისგან, რომლებიც სახელგანთქმული იტალიელი დიზაინერის ჯორჯო არმანის სამოსში გამოეწყობიან.

შოუში მონაწილეობას მიიღებენ მოციგურავეები, რომლებიც ცეცხლმოკიდებულ ჩაფხუტებში იქნებიან გამოწყობილნი. მაყურებლის წინაშე გამოვა საოპერო ვარსკვლავი ანდრეა ბოჩელი.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე გამოსული მსახიობები ფედერიკო ფელინის ფილმს „კლოუნების“ პერსონაჟთა სტილიზებულ სამოსში იქნებიან გამოწყობილნი.

გახსნის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებენ ვენეციის ტრადიციული ზამთრის კარნავალის პერსონაჟები.

საინტერესოა, რომ ამ ოლიმპიადის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალების საერთო ბიუჯეტი 28 მილიონ ევროს შეადგენს.

ყოველივე ამასთან, იტალიელებს განუზრახავთ, თავი მოიწონონ თავიანთი კულტურული პროგრამით, რომელიც ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშების მთელს ისტორიაში საუკეთესო იქნება. როგორც „ტურინი 2006-ის“ საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ეველინ კრისტილინი ამბობს, კულტურული ოლიმპიადა 52 ძირითად ღონისძიებას მოიცავს. ტურინის სტუმრებს შეეძლებათ გაეცნონ იტალიურ ფერწერას, თეატრს, ბალეტს, კინოს, ლიტერატურას და ამ ქვეყნის ისტორიას. ოღონდ ეგაა, რომელ სპორტსმენს ექნება ამის დრო.

რუსეთის შავი ნადეჟდა

სპორტის ზამთრის სახეობებში რუსებს არასოდეს უჭირთ და ამიტომ, ზაფხულის ოლიმპიადებისაგან განსხვავებით, ზამთრის თამაშებზე მათი გუნდის უდიდეს ნაწილს სწორედ რუსები შეადგენენ.

ტურინის ოლიმპიადა ამ მხრივ გამონაკლისი იქნება. გინახავთ ოდესმე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის საზამთრო ნაკრებში ზანგი? ახლა ნახავთ.

22 წლის ნკეირუხა ეზეხი წარმოშობით ნიგერიელია და რუსთა კარლინგის ნაკრებში ირიცხება. მისი დახმარებით სლავებს ბრინჯაოს მოპოვების იმედიც კი აქვთ.

სად ნკეირუხა და სად თოვლიო, იკითხავთ, მაგრამ საქმე ძალიან მარტივად ყოფილა და თურმე გასაკვირიც ბევრი არაფერია.

ნკეირუხას მამა ნიგერიიდან ჩასულა სასწავლებლად რუსეთში, მავან რუს ქალს გადაჰყრია, ცხრა თვეში კი შავ-შავი ბავშვი დაბადებულა. მამას ბავშვისთვის ნკეირუხა დაურქმევია, ეს თურმე რომელიღაც ნიგერიული დიალექტიდან რუსულ ნადეჟდად ითარგმნება, შემდეგ კი გუდა-ნაბადი აუკრავს და შობლიური აფრიკისკენ გაუწევია.

თავად სპორტსმენს ნიგერიისა არაფერი გაეგება და თავს რუსად თვლის, ჩვენ კი ეს ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ რუსებმა თუ წარმატებას მიაღწიეს, არ იკითხოთ, ნეტავ, ის შავი ქალი ვინ იყოო...

ლადო ფულუკიძე



ქმრის ნაკვალევზე

მაკალუმ კაცი ჩაყლაპა

გუშინ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში საფრანგეთიდან ერთი ქალბატონი, კატი ლაფალი ჩავიდა და სასტუმროში რიგიანად დაბინავებაც ვერ მოასწრო, რომ უმალ ჟურნალისტების ალყაში მოექცა.

საქმე ისაა, რომ მისი მთამსვლელი ქმარი ჟან კრისტოფ ლაფალი, როგორც შარშანდელი „სარბიელის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ვიუწყებოდით, კატმანდუში ჩავიდა და მერე დედამიწის სიმაღლით მეხუთე მწვერვალ მაკალუსკენ (8470 მ) მიმავალ გზას გაუდგა, რათა მასზე მარტოდმარტო ასულიყო. სამწუხაროდ, კატიმ ქმარი უგზო-უკვლოდ დაკარგა და დამწუხრებული ქალბატონი კატმანდუში სწორედ მისი ასავალ-დასავალის შესატყობად ჩავიდა.

ჟან კრისტოფი საკმაოდ გამოცდილი მთამსვლელი გახლდათ და მას დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალის დალაშქრა ჰქონდა განზრახული, რისთვისაც 2002 წელს თავდაპირველად ანაპურნაზე (8078 მ.) ავიდა. მაკალუზე ლაშქრობის დაწყებამდე მის კოლექციაში უკვე თერთმეტი რვაათასიანი პიკი იყო. როგორც მისმა ცოლმა გუშინ ჟურნალისტებს აცნობა, ჟან კრისტოფი კატის ბოლოს 26 იანვარს სატელიტური კავშირის საშუალებით ელაპარაკა, როცა მთამსვლელი 7600 მეტრის სიმაღლეზე იყო კარავში. მომდევნო ორი დღის განმავლობაში, როცა ქმრისგან ზარი აღარ გაისმა, ცოლს გულმა ცუდი უგრძნო.

ჟან კრისტოფის სოლო ასვლას სხვებიც ადევნებდნენ თვალს. მათ ჟან კრისტოფს ბოლოს 8463 მეტრის სიმაღლეზე მოჰკრეს თვალი, როცა მწვერვალის უმაღლეს წერტილს სამიოდე მეტრი აშორებდა. სავარაუდოდ, მან ეს 3 მეტრიც დაძლია, მერე კი მის შესახებ ველარაფერი შეიტყვეს.

ჟან კრისტოფის მოსაძებნად დამხმარე ჯგუფი გაემართა, მაგრამ ისინი უამინდობამ უკან დააბრუნა. ჟან კრისტოფის ნაკვალევი შვეულმფრენიდან დაინახეს, რომელიც მწვერვალთან სულ ახლოს წყდებოდა. იქვე დაინახეს პატარა ზვავის ნაკვალევიც...

ახლა ჟან კრისტოფს რომ მიაგნონ კიდეც, სამწუხაროდ, იგი ცოცხალი აღარ იქნება, რადგან იმ სიმაღლეზე ამდენ ხანს ჯერ ვერც ერთ სულიერს ვერ გაუძლია.

ნათელია, რომ ბუმბერაზმა მაკალუმ თავის მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ ერთით გაზარდა.

ავთანდილ ბუკვიშელი

ჟან კრისტოფ ლაფალი ალბათ აღარცაა ცოცხალი

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია ✧ 4 ათასამდე ფოტო, 500-ზე მეტი ნახატი, ნახაზი, ცხრილი ✧ სპორტის ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური სახეობა: ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა ✧ 200-მდე არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობა, 50-მდე ქართული ეროვნული თამაშობები ✧ ზაფხულისა და ზამთრის ყველა ოლიმპიური თამაშები ✧ 1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე ✧ სპორტულ ტერმინთა განმარტებები ✧ ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე, ევროპის ქვეყნებზე, სპორტულ ბაზებზე ✧ უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა ✧ რეკორდები ✧ ათასი სხვა რამ

პასუხი ყველა კითხვაზე



სპორტის ენციკლოპედიის შეძენის მსურველებმა დარეკეთ: 37 28 51.
მობ., 899 756 597; 877 444 221.

არ იყო ავი ეს სიხარული

წმინდა გიორგის ბაირაღი, თოვლისგან გაწმენდილი მინდორი, ჰიმნები, გულისფანცქალი და მაგარი ლელოები თავისი დიდი სიხარულით. საქართველომ მერვედ მოუგო რუსეთს იმ ქარიან და უმზეო შაბათს, ოღონდ ეს მაინც არ იყო ჩვეულებრივი გამარჯვება. ბორჯღალოსნები ლაღად ირჯებოდნენ და ეს სილაღე იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ ეგებ სახალხო თვისებადაც კი იქცეს კარგი მაგალითის გამოისობით. ეს იყო თამაში, რომელშიც სიავე არ იყო და ეს იყო სტადიონი, რომელიც ხარობდა.

ბაღდარ ცეცილაძის ფოტოლინზაში



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭალიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00